ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 27 მარტი, 2017 №72 (7307) ფასი: 50 თეთრი



## ზვიად კუპრავა: „ოცნება“ ოპონენტებს ნარკოტიკისა და იარაღის ჩადებით ებრძვის“

გვ.4

24 მარტიდან

ინეს ალბრეხტ ენგელი, დოქ. მანფრედ ალბრეხტი

ორსულობა და მშობიარობა

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# თბილისის მერის პოსტზე „ოცნება“ კახა კალაძეს წარადგენს?



გვ.5

## „გიორგი კვირიკაშვილი ხალხს ემშვიდობება და წასასვლელად ემზადება“

„თავად კახა კალაძის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, შესაძლოა, ის კარგი მერიც კი იყოს, მაგრამ მეეჭვება, ივანიშვილმა მის კანდიდატურას დაუჭიროს მხარი. მას ამ თანამდებობაზე ისეთი ადამიანები სჭირდება, რომლებსაც სრულად მართავს. კალაძე კი ასეთი ტიპი არ არის. ჩემი აზრით, ამ თანამდებობისთვის ყოფილი პრემიერი ნარმანია 2-ს გამონახავს“

„ოცნებას“ პარლამენტში 117 დეპუტატი ჰყავს და აქედან მხოლოდ 2 – ბიძინა გეგიძე და ლევან გოგიჩაიშვილი ითვლებიან პრემიერის გუნდის წევრებად“



# „ნიკა გვარამიამ ფარსი გაითამაშა“



გვ.2

## მამუკა გამყრელიძე:

„ძმების შეთავაზება საინტერესო წინადადება იყო, დანარჩენი კი ნელ-ნელა გამოჩნდება და გამოიკვეთება. იყო უცნაური წინადადებები რუსთავი 2-ის მხრიდან“





სოფიო ხორგუანი: „გვარამია სადაც მეტად იხეირებს, მისი პოზიციაც იქ იქნება“



## ყარამანიშვილები: „გადავდივართ კოლექტივთან პირდაპირი კონსულტაციების რეჟიმში“

ISSN 1987-9385

## მირიან მირიანაშვილი: „ხელისუფლება ძირს ითხრის“

გვ.3



## რამაზ საყვარელიძე: „მარგველაშვილი სახლში არ წავა“

გვ.3



# მამუკა გამყრელიძე: „ნიკა გვარამიამ ფარსი გაითამაშა“

ნონა ცაბაძე

რუსთავი 2-ის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი აქტუალურობას არ კარგავს. წილების გადანაწილება, თათბირები პირდაპირ ეთერში რუსთავი 2-ის თანამშრომლებს შორის დაპირისპირების საგნად იქცა. რა პროცესები მიმდინარეობს ტელევიზიაში, რის მიღწევას ცდილობს ნიკა გვარამია? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ანალიტიკოსი სოფიო ხორგუანი და ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობენ.

***– სოფიო, დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა თავად რუსთავი 2-ის თანამშრომლებში ნიკა გვარამიას ინიციატივებსა და თათბირს პირდაპირ ეთერში. რა პროცესები მიმდინარეობს? რამდენად ჯდება სამართლებრივ ჩარჩოებში ის, რასაც საზოგადოება ადევნებს თვალს?***

– თვალს არ ვადევნებ იმ შოუებს, რომლებიც პირდაპირი ეთერით გადაიცემა და არც აზრი შემცვლია ამ ყველაფერზე. ფაქტია, რომ თავის დროზე ეს ტელევიზია წაართვეს, ვის და როგორ, ეს კიდევ დასადგენია. რაც შეეხება ბოლო მოვლენებს, ჩვენ ვიცით, რომ ეროვნულ დონეზე დასრულებულია საქმის განხილვა, გარკვეულია, წილები ვისია, თუმცა ამის დარეგისტრირება არ ხდება იმიტომ, რომ ევროპის სასამართლომ გააჩერა ეს. ამიტომ ვის, რას, სად და როგორ უნაწილებენ, არ ვიცი. შესაძლოა, ეს ვიღაცის სურვილი, ვიღაცის ოცნებაა.

***– ანუ სანამ არ იქნება ევროპული სასამართლოს საბოლოო პასუხი, ასეთი ქმედებები სამართლებრივად არასწორია?***

– ასე ვიტყოდი, ჩემთვის ეს არის ბრძოლა გავლენისთვის, ანუ ვის ექნება გავლენა ტელევიზიაზე იმ პოლიტიკურ ჯგუფში, რომელიც ფლობდა ამ ტელევიზიას.

***– რომელ ჯგუფს გულისხმობთ?***

– რომელ ჯგუფსაც ჰქონდა მითვისებული ეს ტელევიზია, ანუ ნაციონალურ მოძრაობას ხელში ჰქონდა ჩაგდებული რუსთავი 2, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი მედიასაშუალება. ნაციონალური მოძრაობა გაიყო ორ ჯგუფად და სწორედ ამ ჯგუფებს შორის მიდის ბრძოლა, ვის დარჩება გავლენა რუსთავი 2-ზე! ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვისი გავლენის ქვეშ იქნება? უბრალოდ, ერთი ჯგუფი უფრო რადიკალური და აგრესიული მოქმედების მომხრეა, მეორე ნაკლებად აგრესიული ჯგუფია.

***– ამ არხზე მომუშავე ჟურნალისტებიც ამ ჯგუფებში არიან გადანაწილებული და ამიტომ გვესმის სხვადასხვაგვარი შეფასებები?***

– კი, ასეა. ეს ასევე შეიძლება იყოს პირადი ურთიერთობების მიხედვით. რასაც ჩვენ ვუყურებთ და რაც გარეთ გამოდის, ვიღაცას ვიღაცასთან უფრო პირადი, სუბიექტური და მჭიდრო ურთიერთობები აქვს. ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი ღიაა და გარეთ გამოდის, მე, პირადად, მომწონს. საჯაროობა არის ყველაზე კარგი რამ, რაც შეიძლება ასეთ დროს ხდებოდეს. მითებისა და ლეგენდებისგან გვიცავს ეს საჯაროობა.

***– ამბობთ, რომ დაპირისპირებაა ორ ჯგუფს შორის. ამ სიტუაციაში ვის თამაშს თამაშობთ, ვის ინტერესებს ემსახურება ნიკა გვარამია?***

– ნიკა გვარამია ცდილობს, საკუთარი



## სოფიო ხორგუანი: „გვარამია სადაც მეტად იხეირებს, მისი პოზიციაც იქ იქნება“



ინტერესები დაიცვას და თავისი პირადი ინტერესები გაატაროს. სადაც მეტად იხეირებს, იქ იქნება მისი პოზიციაც და იქ იქნება მისი ადგილიც. მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ იქ რომელიმე მათგანი რაიმე ღირებულებებისა და იდეალისთვის მებრძოლია.

არცერთი იქ მყოფი ადამიანი არანაირი ღირებულებებისთვის მებრძოლი არ არის. წლებია ამ ადამიანებს ვუყურებთ და ყველამ ვნახეთ, როგორ იქცეოდნენ და რა ღირებულებებს ემსახურებოდნენ. ნამდვილად არ მჯერა იმის, რომ სავლეები პავლეებად გადაიქცნენ! აღარაფერს ვამბობ სამართლებრივ შედეგებზე.

***– ვერ იქნება ეს პროცესი სამართლებრივ ჭრილში განხილული?***

– ვინ რა უნდა დაარეგისტრიროს, ვინ ვის უნდა გადაუფორმოს წილები?! ეს ყველაფერი ხომ გამორიცხულია! ყველამ ვიცით, სამართლებრივად რა სიტუაციაშიც ვართ. პრაქტიკულად, არაფრის გაკეთება სამართლებრივად ან რაღაცა ქონების რეგისტრაცია არ გამოვა. სად უნდა განახორციელონ?! როგორ უნდა განახორციელონ?!

***– ახალი შპს შეიქმნებაო.***

– მე არ ვიცი, სად რას არეგისტრირებენ. შპს-ს დარეგისტრირება შეგვიძლია ყველას. ეს ჩვენს ქვეყანაში გაიოლებულია. ჩვენც შეგვიძლია, ხვალვე წავიდეთ და რაღაც კომპანია დავარეგისტრიროთ. ეს იოლია და არავისთვის არის აკრძალული, მაგრამ მე ვლაპარაკობ რუსთავი 2-ის ქონებაზე, რომელიც ეკუთვნის რუსთავი 2-ს, დაყადაღებულია და ვინ ვის რას უფორმებს?!

ეროვნულ დონეზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არ ხდება და სხვა რაზე ვლაპარაკობთ საერთოდ?! ნიკა გვარამიამაც მშვენივრად იცის, რომ სამართლებრივად ასეა და იმას, რასაც რუსთავი 2-ის წილები ჰქვია, ხელს ვერ მოჰკიდებს.

***– მაშინ, რა თამაშს თამაშობს გვარამია?***

– ის ცდილობს თავისი ინტერესების დაცვას, ცდილობს, მიიღოს მაქსიმალური მოგება, ნახოს დიდი სარგებელი. აი, ეს არის მისი თამაშის წესი! თუ გაუშვებენ მას დირექტორობიდან, ტელევიზიამ უნდა გადაუხადოს 5 მილიონი, თუ დარჩება იქ და იტივტივებს, შეეცდება, მიიღოს მაქსიმალური სარგებელი სათავისოდ! ჟურნალისტების პროტესტი, ეს კრიტიკული განცხადებები თუ სხვა შიდა ჯგუფებს შორის არსებული დაპირისპირებაა. არც ის არის გამორიცხული, ეს იყო სუფთა ემოცია, რადგან ვიღაცამ მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მის თემას ასე ღიად, საჯაროდ პირდაპირ ეთერში განიხილავენ.

ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ რომელიმე მათგანი მსხვერპლია. ისინი არასოდეს ყოფილან სიმართლისთვის მებრძოლები. მოსწონთ იქ ყოფნა, სადაც არიან. სწორედ მათმა გაჩუმებამ და თვალის დახუჭვამ ბევრ რამეზე მოიტანა ის, რაც მოიტანა. არცერთ მათგანს არ უბრძოლია სიტყვის თავისუფლებისთვის და, როგორც ჩანს, ეს არც დღეს უნდათ!

◆ ◆ ◆

მამუკა გამყრელიძეს გია ყარამანიშვილთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს და მის პოზიციასაც იზიარებს.

– ძმების შეთავაზება საინტერესო წინადადება იყო, დანარჩენი კი ნელ-ნელა გამოჩნდება და გამოიკვეთება. იყო უცნაური წინადადებები რუსთავი 2-ის მხრიდან, რომ ნაწილისთვის მიეცათ ეს აქციები და არა ყველასთვის. ალბათ, ამაზეც ჩამოყალიბდებიან, – გვითხრა გამყრელიძემ.

***– ნანუკა ჟორჟოლიანი იმ ყველაფერს, რაც რუსთავი 2-ის ეთერით გადაიცა, ბინძური საცვლების გამოფენას ადარებს. რას ფიქრობთ თქვენ?***

– რაც შეეხება ამ შოუს, ეს მეც დავწერე, რომ ჩემს გემოვნებაში არანაირად არ ჯდება. მე და გვარამიას განსხვავებული გემოვნება რომ გვაქვს, ყველამ იცის. ეს მისი საქმეა.

***– რატომ გადაწყვიტა, რომ ყველაფერი ასე ღია და საჯარო იყოს?***

– ამას რაღაც ფარსის სახე ჰქონდა, რაღაცა დემოკრატიობანას თამაში მოინდომა. ეს ყალბი მომენტი იყო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე დავინახე. შესაძლოა, ვიღაცაზეა ისეთზე გათვლილი, რომელმაც უნდა აღიქვას, როგორც დემოკრატიის ძალიან დიდი მონაპოვარი.

კერძო სტრუქტურის შიდა საქმეებში, მის საფინანსო საქმეებში არ უნდა ერეოდეს არავინ. ეს არ არის საზოგადოებრივი მაუწყებელი. ეს არის კერძო კომპანია. ამიტომ მისი საშინაო პოლიტიკა და მით უმეტეს საფინანსო საკითხები არავის გასარჩევი არ არის! ეს უსარგებლო პოლიტიკაა, რომ, იცით რა, ჩვენ მიუკერძოებლები ვართ და ასე შემდეგ. კარგი, თუ ძმა ხარ!

***– არ არის ასე?***

– ეს არის კერძო ტელევიზია და ამით ყველაფერი ნათქვამია. მე პრეტენზია არა მაქვს არც ჯიდიესისა და არც იმედის მიმართ. კერძო ტელევიზიებია და რა გემოვნებითაც აკეთებენ, იმ გემოვნებით უნდა იყოს.

***– რას იტყვით სამართლებრივ მხარეზე?***



***ყველაფერი კანონიერი ვერ იქნებაო. ასეა?***

– არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. იურისტი არ ვარ და ამ საკითხს ვერ განვიხილავ. ძალიან მალე გამოჩნდება, რა ხდება.

***– საუბარია ასევე შიდა დაპირისპირებაზე. ნაცმოძრაობა შუაზე გაიყო და რუსთავი 2-ს ვერ იყოფენო. ასეა?***

– ნაციონალური მოძრაობა არაერთხელ გაიყო. არ ვიცი, შიგნით რა დაპირისპირებაა, არა მგონია, ასე იყოს.

***– გაკეთდა შეფასებები, რომ გვარამია ცდილობს, პარტიული წნეხიდან გამოიყვანოს ტელევიზია და სწორედ ამ პროცესს აქვს ადგილიო. ასეა?***

– დიდი ბოდიში, რას ნიშნავს პარტიული წნეხიდან გამოსვლა?! რა პარტიული ზეწოლა იყო ამ ტელევიზიაზე, მით უმეტეს უკანასკნელ წლებში? მე ეს არ მესმის. ნაციონალურ მოძრაობას, განსაკუთრებით ბოლო წლებში, არანაირი ზემოქმედება ამ არხზე არ ჰქონია. მეტსაც გეტყვით, სულ იყო წუწუნი, ჩვენ უფრო ნაკლებ დროს გვაძლევენ, ვიდრე გასულებსო.

***– ბოკერიას გუნდს გულისხმობთ?***

– დიახ, ბოკერიას გუნდი უფრო აქტიურად არის ტელევიზიაში წარმოდგენილი, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა. გვარამია ბოლო წლებში საკუთარ თამაშს თამაშობდა!

***– ანუ ასე ხსნით გვარამიას ასეთ აქტიურობას? ის ცდილობს, მაქსიმალურად მეტი სარგებელი ნახოს?***

– ყველანი ადამიანები ვართ. რა თქმა უნდა, ის, ალბათ, ცდილობს, მეტი სარგებელი ნახოს. რატომ უნდა დათმოს ადამიანმა ამხელა ხელფასი? თავადვე ასაჯაროებს, რამხელა ხელფასიც აქვს, თან ამხელა შესაძლებლობები გააჩნია. მოსწონს, ეტყობა, ამ პოზიციაზე ყოფნა. რაღა დაგიმალოთ და ტელევიზიას აქვს თავისი ხიბლი. არის სერიოზული დრაივი, ადრენალინი. შენ შეგიძლია, საზოგადოებრივ აზრზე გავლენა იქონიო, მით უმეტეს, როდესაც რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ხარ.

***– და ამ ყველაფრის დაკარგვა არ უნდა გვარამიას?***

– რა თქმა უნდა, არ უნდა და მე მესმის მისი. პლუს ამას ამხელა ხელფასი. ვის ენდომება ამის დაკარგვა?! თანაც ტელევიზიების ხელმძღვანელებიდან ის პირველია, ვინც „ტელევარსკვლავად“ წარმოჩნდა. ეს ნამდვილად არ იყო სწორი. არც მისი პოლიტიკურ ფიგურად გადაქცევა იყო სწორი. ის უნდა ყოფილიყო მენეჯერი და ეკეთებინა თავისი საქმე. ვინ რად ღირს, ამ ყველაფერს დრო აუცილებლად გვიჩვენებს!



# ყარამანიშვილები: „გადავდივართ კოლექტივთან პირდაპირი კონსულტაციების რეჟიმში“

რუსთავი 2-ის მფლობელები ახალ განცხადებას ავრცელებენ. ლევან ყარამანიშვილი ფეისბუკის გვერდზე წერს, რომ ძალაში რჩება მათი შეთავაზება რუსთავი 2-ის აქციათა 51%-ის წილის მფლობელი ტელეკომპანია საქართველოს აქციების საკონტროლო პაკეტის (51%) თანამშრომლებისათვის გადაცემის შესახებ, რის თაობაზეც ყარამანიშვილები დღეიდან კოლექტივთან პირდაპირი კონსულტაციების დაწყებას აპირებენ. გთავაზობთ აღნიშნულ განცხადებას.

– სამწუხაროა, რომ ჩვენი განცხადება, რომელიც 15:25-ზე გავრცელდა, პრაქტიკულად, არ გაშუქებულა (მშრალად გავიდა 6-საათიანი კურიერის შუაში, თემის გაუშლელად და საერთოდ არ გაშუქებულა 9-საათიან კურიერში). ეს იმ ფონზე, როცა გენერალური დირექტორის მიერ მოწვეულ თათბირს ამხელა დრო დაეთმო ეთერში. ჩვენი განცხადება რომ გაშუქებულიყო, საზოგადოება და ჩვენი კოლექტივი ბევრ უხერხულობას ასცდებოდა (პირველ რიგში, ზემოხსენებული თათბირის კონტექსტში). ამიტომ ხელახლა უცვლელად ვავრცელებთ ჩვენს განცხადებას (სადაც ხაზს ვუსვამთ, რომ არანაირი შუამავალი შპს-ს მონაწილეობა არ განიხილება) და დღეიდან გადავდივართ კოლექტივთან პირდაპირი კონსულტაციების რეჟიმში, – ნათქვამია განცხადებაში.

ნიუპოსტი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მირიან მირიანაშვილი: „ხელისუფლება ძირს ითხრის“

## „საზოგადოება ველარ მოითმენს იმას, რომ სააკაშვილი და მისი კამარილია პოზიციებს იმყარებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს ესაუბრა.

**მირიან მირიანაშვილი:**

– საზოგადოებისთვის გაუგებარია არა მხოლოდ ის, თუ რატომ შენდება ორთაჭალაში სამთავრობო ქალაქი, არამედ, ბევრი სხვა უფრო მწვავე საკითხიც. ყველაზე მეტ უკმაყოფილებას იწვევს ხალხის შეკვეთის უგულებელყოფა. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო სამართლიანობის დამკვიდრება. ეს თავისთავად ნიშნავდა ნაციონალური მოძრაობის დასუსტებასა და პოლიტიკური ველიდან ფაქტობრივ გასვლას.

რეალობა სხვაა – ნაციონალური მოძრაობა საგრძნობლად გაძლიერდა და ყველა პოლიტიკური ნიშა დაიკავა. თუ ადრე იყო კოაბიტაციის დასრულების იმედი, ხელისუფლების ბოლოდროინდელმა მოქმედებებმა საზოგადოება საგონებელში ჩააგდო. ამაზე მწვავედ რეაგირებენ „ქართული ოცნების“ მომხრეები.

***– ხელისუფლების რომელი მოქმედებები გაქვთ მხედველობაში?***

– მაგალითად, რუსთავი 2-ის გარშემო განვითარებული მოვლენები.

***– ითვლება, რომ ამ ტელევიზიის თემის გამოყენებით ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობას ებრძვის.***

– ეს რომ ფიქტიური ბრძოლაა, ამას ძალიან ბევრი მიხვდა. ამ „ბრძოლით“ გაძლიერდა ნაციონალური მოძრაობა და დასუსტდა „ქართული ოცნება“. ხელისუფლების ავტორიტეტი დაეცა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. ხელისუფლებას რომ რუსთავი 2-ის დამარცხება ან ხელში ჩაგდება სდომებოდა, ამ ტელევიზიაში მსხვილი ბიზნესმენები რეკლამას არ მიიტანდნენ და ამ არხის პარტნიორები არ გახდებოდნენ.

გაუგებარია სასამართლო პროცესი, რომელმაც ეს ტელევიზია ქიბარ ხალვაშს მიაკუთვნა მაშინ, როცა სხვა მოდავეებიც არიან. სარწმუნო წყაროდან ვიცი, რომ დასავლეთის გარკვეულმა წრეებმა საქართველოს ხელისუფლება რუსთავი 2-ის საკითხზე უზენაესი სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე გააფრთხილეს. ხელისუფლებას შემოუთვალეს, რომ ასეთი გადაწყვეტილების შემთხვევაში სტრასბურის სასამართლო მის აღსრულებას აუცილებლად შეაჩერებს. ეს ყველაფერი მაინც მოხდა და საქართველოს ხელისუფლებას იმიჯიც შეელახა.

***– რა ახსნა აქვს ამას?***

– ხელისუფლებაში არსებობს ჯგუფი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ზურგს უკან მუშაობს ნაცმოძრაობის ინტერესებზე. აბა, სხვანაირად როგორ უნდა ახსნა ის, რომ ხელისუფლება ძირს ითხრის? შეიძლება, ხელისუფლება იყოს საკუთარი თავის მესაფლავე? ხალხი ხვდება, რომ „ქართული ოცნების“ კინკლაობა სააკაშვილთან და მის პარტიასთან უმეტესად სპექტაკლია. ამის გამო სერიოზული უკმაყოფილება მწიფდება. საზოგადოება ველარ მოითმენს იმას, რომ სააკაშვილი და მისი კამარილია პოზიციებს იმყარებენ.

***– ბათუმის მოვლენების გამოც არ იყო ნამდვილი დაპირისპირება „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის?***



– თუ გამოძიება გაჭიანურდა და არაფერი გამოვლინდა, დადასტურდება, რომ ეს კამათიც ფიქცია იყო. ბათუმის მოვლენების ორგანიზატორებმა ტესტი ჩაატარეს. მათ აინტერესებდათ, ვინ როგორ მოიქცევა არეულობის დროს. ვისაც მოეთხოვება, უნდა იცოდეს, რომ აჭარაში რუსეთისა და თურქეთის სპეცსამსახურები ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებენ. მათ თანამშრომლობის მემორანდუმი 1995 წელს გააფორმეს.

არა აქვს მნიშვნელობა, იყვნენ თუ არა ამ მოვლენების მთავარი ინსპირატორები სააკაშვილი, ნაცმოძრაობა და რუსთავი 2, რომელიც ასევე პარტიად გადაიქცა. ნებისმიერ შემთხვევაში ეს იყო წინაპირობების შექმნა სააკაშვილისთვის. ეს ქვეყნის სტაბილურობას ემუქრება. თუ საზოგადოებამ ზეწოლა არ მოახდინა ხელისუფლებაზე და არაფერი შეიცვალა, ეს სავალალო იქნება საქართველოსთვის.

***– საზოგადოების ზეწოლა რით უნდა გამოიხატოს?***

– საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს დაწყებული საქმეების ბოლომდე მიყვანა, დროული და პრინციპული გადაწყვეტილებები, სამართალი, გარიგებების შეწყვეტა. ამის შეკვეთა ისედაც არსებობს. ბათუმის მოვლენები სხვა საქმეების გამოძიებას არ უნდა დაემსგავსოს.

სააკაშვილს დღემდე არ მოსთხოვეს პასუხი უმძიმეს დანაშაულებზე, ქვეყნიდან გატანილ მილიონებზე. მას რამდენიმე პიჯაკზე მოედავნენ. ბოლო დროს ამ ყველაფერმა კომიკური სახე მიიღო. ხელისუფლებას ვერ გაუგია, რომ ეს ხალხის აღშფოთებას იწვევს.

პირადად მე ბევრი მომიწოდებს, განვაახლო სასამართლო პროცესი ნაცმოძრაობის ლიდერებთან პარტიის გამო. ყველამ იცის, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ჩემი დაფუძნებულია და ამ საქმეში ცამდე მართალი ვარ.

***– პრეზიდენტ მარგველაშვილის პოლიტიკურ ცენტრში ნაციონალური მოძრაობაც ხომ არ მოიაზრება?***

– გიორგი მარგველაშვილის საგრძნობლად გააქტიურება ცარიელ ნიადაგზე ვერ მოხდებოდა. აშკარაა, რომ მას ზურგს უმაგრებენ. პირადად მას საკმარისი კავშირები, გავლენა, ფული და სტრუქტურები არ გააჩნია. არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილი მარგველაშვილის დასაყრდენია. პრეზიდენტი მარტო ინსტიტუციურად არ უპირისპირდება „ოცნების“ გარკვეულ ნაწილს. იგი საშინელებებს ლაპარაკობს „ქართულ ოცნებაზე“ უცხოელებთან შეხვედრის დროს. მისი ბევრი მოქმედება უნისონშია ნაციონალურ მოძრაობასთან.

# რამაზ საყვარელიძე: „მარგველაშვილი სახლში არ წავა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პრეზიდენტისა და პარლამენტის დამოკიდებულება არცერთი მხარისთვის არ არის მომგებიანი.



***– ბატონო რამაზ, პრეზიდენტის ბოლოდროინდელი გააქტიურება რამდენად შეიძლება კავშირში იყოს სამომავლოდ მის პოლიტიკურ გეგმებთან?***

– მრჩება შთაბეჭდილება, რომ მისი გააქტიურება გარკვეულ პოლიტიკურ პერსპექტივებს უკავშირდება. არ გამოვრიცხავ, რომ ის ამისთვის ემზადებოდეს, თუმცა მიჭირს დანამდვილებით იმის თქმა, რომ ეს სწორი ახსნაა, რადგან გიორგი მარგველაშვილი, ზოგადად, აქტიური ადამიანია. შეიძლება, დღეს აქტიურია იმდენად, რამდენადაც თვლის, რომ აქტიური უნდა იყოს.

მარგველაშვილი საქართველოს პოლიტიკური პროცესებიდან შორს არასდროს ყოფილა. მას, როგორც აქტიურ მოქალაქეს, ყოველთვის ჰქონდა თავისი მკაფიო პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე და, როდესაც ის ამბობს, მე ყოველთვის ვიყავი აქტიურიო, დიახ, ასეც იყო.

***– ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ რთულად წარმოსადგენია, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ მარგველაშვილი სახლში წავიდეს და მემუარების წერას შეუდგეს.***

– ამის წარმოდგენა, სიმართლე გითხრათ, მეც ძალიან მიჭირს. ამიტომ ვამბობ, რომ არ არის გამორიცხული, მას შორეული პოლიტიკური გათვლები ჰქონდეს.

***– შეიძლება, მეორე ვადით იყაროს კენჭი?***

– ამას გამოვრიცხავ, თუმცა მე, რასაკვირველია, არ ვიცი, ის რას ფიქრობს ამ საკითხზე. მე ვამბობ ანალიზის შედეგად, ლოგიკიდან გამომდინარე. არა მგონია, მეორე ვადაზე იყოს მისი გათვლა მიმართული. ეს უფრო არალოგიკური იქნებოდა.

***– პრეზიდენტმა თქვა, რომ უყვარს პარლამენტი, რადგან იქ ცოცხალი დისკუსიაა. საპარლამენტო არჩევნებში ხომ არ აპირებს მონაწილეობას?***

– ძალიან საინტერესო შეკითხვაა. ეს ბევრად ლოგიკური იქნებოდა, თუ მას სურს, ჩაერთოს რეალურ პოლიტიკაში, იქ, სადაც მართლაც ცოცხალია პოლიტიკური პროცესები და სადაც არის დაპირისპირებულ აზრთა ჭიდილი. მე თუ მკითხავთ, პოლიტიკის საკეთებლად ყველაზე დიდი ადგილი სწორედ პარლამენტია.

მნიშვნელოვანია, როგორი იქნება მისი სტრატეგია, რას აპირებს ის სამომავლოდ და როგორია მისი ამოცანები. სანამ არ გვეცოდინება ეს, მანამდე რთულია, ვიმსჯელოთ ამ ყველაფერზე. ჯერჯერობით ამ საკითხს ის ღიად ტოვებს, თუმცა მოქმედი პრეზიდენტისგან არც არის გასაკვირი, რომ ჟურნალისტების ეს ინტერესი არ დააკმაყოფილოს და ეს კითხვა ღიად დატოვოს.

თუკი მარგველაშვილი აპირებს პოლიტიკური პერსპექტივისთვის საფუძვლის ჩაყრას, მაშინ უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების აზრი. არა მგონია, რომ მისი ქცევა ახლა ფართო საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით იყოს აგებული.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ გარკვეული კრიტიკული დამოკიდებულება არის მის მიერ გამოყენებული ვეტოს მიმართ. არ ვგულისხმობ ერთი რომელიმე კონკრეტული კანონპროექტისთვის დადებულ ვეტოს, ვგულისხმობ ვეტოთა სიმრავლეს. ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ ფონზე ვითარდება, არცერთი მხარისთვის, არც პრეზიდენტის ინსტიტუტისა და არც პარლამენტისთვის არ არის მომგებიანი.

***– რამდენად აქვს პრეზიდენტ მარგველაშვილს შანსი, თუ მან დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში დაიწყო?***

– პირველ რიგში, ეს დამოკიდებული იქნება იმ გარემოზე, რომელსაც ის შექმნის, ასევე – იმ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც იმ დროისთვის იქნება ქვეყანაში. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ თუ მარგველაშვილი სამომავლოდ პოლიტიკურ პროცესებში აპირებს ჩართვას, მაშინ ის ფართო საზოგადოების დამოკიდებულებას მეტ ანგარიშს გაუწევს. თუმცა, ვნახოთ, არაფერია გამორიცხული.



***– პარლამენტის დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ რამდენად არის ადეკვატური?***

– ვიმეორებ, ეს დამოკიდებულება ორივე მხარეს აყენებს ზიანს. ამ ზიანს თავს უნდა არიდებდეს ორივე მხარე.

***– ვინ შეიძლება, გიორგი მარგველაშვილის მოკავშირეები იყვნენ?***

– ვერ გეტყვით, თუმცა ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია პოლიტიკაში და ამაზე ბევრი რამე იქნება დამოკიდებული.

# მამუკა მდინარაძე: „ისტორიული დღეებია, რადგან ვიზალიბერალიზაცია არის ღია კარი ევროპაში“



– ისტორიული დღეებია, რადგან ვიზალიბერალიზაცია არის ღია კარი ევროპაში, ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალი ეტაპი – ნამდვილად ასე ჰქვია ამ დღეებს.

ამის შესახებ პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ განახლებულ აღმაშენებლის გამზირზე ვიზალიბერალიზაციის აღსანიშნავ ღონისძიებაზე ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ისტორიული დღეებია, იქიდან გამომდინარე, რომ „ვიზალიბერალიზაცია არის ღია კარი ევროპაში“.

– ვფიქრობ, რომ საქართველოში გატარებული რეფორმები, ახალი სივრცითი მოწყობა, ახალი საკონსტიტუციო მოწყობა იძლევა მყარ გარანტიებს ამ დღეებთან ერთად, როდესაც ჩვენ ვზეიმობთ ვიზალიბერალიზაციას, რომ ჩვენი შვილები თვისობრივად ახალ საქართველოში იცხოვრებენ, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

განახლებულ აღმაშენებლის გამზირზე ვიზალიბერალიზაციის აღსანიშნავი ღონისძიებები გაიმართა. გამზირის საფეხმავლო მონაკვეთი დეკორაციებით, ევროკავშირისა და საქართველოს დროშებითა და სიმბოლიკებით იყო გაფორმებული.

**ინტერპრესნიუსი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ოცნება“ ოპონენტებს ნარკოტიკისა და იარაღის ჩადებით ებრძვის“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ გახშირდა ნარკოტიკის ჩადების ფაქტები, ბრძოლის რა ფორმა აირჩია „ოცნებამ“, შეაჩერებს თუ არა საზოგადოების პროტესტი ხელისუფლებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.

**ზვიად კუპრავა:**

– ჩადებებთან დაკავშირებით გვაქვს ორი ძალიან სერიოზული პრეცედენტი. ეს არის კახა შპეტიშვილისა და დავით ბუდაძის საქმეები. ამ უკანასკნელს იარაღი ჩაუდეს, ხოლო შპეტიშვილს – ნარკოტიკი. ისინი 2 წლის განმავლობაში ჯიუტად ამტკიცებდნენ, რომ მათ იარაღი და წამალი ჩაუდეს. დაახლოებით 2 კვირის წინ სასამართლომ გაიზიარა შპეტიშვილის არგუმენტები და ის 260-ე მუხლში უდანაშაულოდ ცნო, რითაც პირდაპირ მოხდა იმის აღიარება, რომ ამ ადამიანს ნარკოტიკი ჩაუდეს.

იგივე მოხდა ბუდაძესთან მიმართებით. სასამართლომ გაითვალისწინა დაცვის არგუმენტები და ის პატიმრობიდან გაათავისუფლა. ეს არის 2 უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი. სასამართლომ აღიარა, რომ ხელისუფლება და კონკრეტულად შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებულია ჩადებით.

იარაღსა და ნარკოტიკებს იმ მოქალაქეებს უდებენ, რომლებიც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად არიან განწყობილი. აქ იმაზე აღარ არის საუბარი, რომ პრეზიდენტის ოჯახის ახლობლის წინააღმდეგ ხორციელდება ასეთი ქმედება. არგუმენტად აღარც ელისო კილაძის შვილის ამბის მოყვანაა საჭირო, სადაც სერიოზული დარღვევები და ეჭვებია. მთავარი ისაა, რომ უკვე სასამართლომ დაადასტურა, რომ მოქალაქეებს იარაღსა და ნარკოტიკებს უდებენ.

***– სასამართლოს ეს გადაწყვეტილება რამეს შეცვლის?***

– სასამართლოს გადაწყვეტილება ძალიან მნიშვნელოვანია. ხელისუფლებამ აღიარა, რომ ჩადებას ჰქონდა ადგილი და, რადგან 2 ადამიანს ჩაუდეს იარაღი თუ ნარკოტიკი, სხვებთანაც შეიძლება ასევე მოიქცნენ.

***– თქვით, რომ იარაღსა და ნარკოტიკს პოლიტიკურად მიუღებელ ადამიანებს უდებენ. შპეტიშვილი და ბუდაძეც პოლიტიკურად აქტიური ადამიანები არიან?***

– პოლიტიკურად არცერთი არ არის აქტიური. აქ უფრო სხვა მომენტთან გვაქვს საქმე. მთავარი ისაა, რომ სასამართლომ ისინი გაამართლა.

***– ხშირად მოგვისმენია, რომ სასამართლო ერთი კაცის ნების აღმსრულებელია. გვესმის ისიც, რომ შსს-ც იმ ერთ კაცს ემორჩილება. და რადგან სასამართლომ ეს 2 მოქალაქე გაამართლა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების შტოებს შორის რაღაც დაპირისპირებაა? ნორმალურ ქვეყანაში ეს კითხვა არ დაისმებოდა, მაგრამ ჩვენი რეალობა სხვაა და ამიტომაც ჩნდება ასეთი ეჭვი.***

– სასამართლო ერთი ინსტიტუტია, მაგრამ მას ჰყავს უამრავი მოსამართლე. მათი დიდი ნაწილის მიმართ სერიოზული კითხვის ნიშნებია, მაგრამ ჯერ კიდევ არის ამ სისტემაში ისეთი ხალხი, რომლებიც ნამდვილად იმსახურებენ, რომ მოსამართლის მანტია ეცვათ. ისინი სასამართლო პროცესებს ატარებენ ისე, როგორც წესი და კანონი მოითხოვს.

შპეტიშვილთან და ბუდაძესთან მიმართებით იმდენად აშკარა იყო ჩადების ფაქტი, რომ სასამართლომ თვალი ვეღარ დახუჭა. შპეტიშვილის ისტორიაში კიდევ ერთი საინტერესო დეტალია – დაკავებამდე ის ქვეყნიდან განდევნეს.

ის თბილისის აეროპორტში კი არ დააკავეს, მისი ნების წინააღმდეგ ჩაისვეს მანქანაში და სომხეთის საზღვრის გავლით ქვეყანა დაატოვებინეს. საქართველოში ის თურქეთიდან შემოვიდა. ეს ყველაფერი დოკუმენტურადაც დადასტურდა. ადამიანი ქვეყნიდან განდევნეს. არადა, კონსტიტუციაში პირდაპირ გვიწერია, რომ ქვეყნიდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.

ეს ადამიანი რამდენიმე დღეში ისევ დაბრუნდა საქართველოში და, ქვეყნიდან რომ ვეღარ გაიყვანეს, წამალი ჩაუდეს და დააკავეს. ახლა სასამართლომ გაამართლა და ეს საქმე ყველა მსგავსი საქმის პრეცედენტი უნდა გახდეს.

ერთხელ ერთმა ქოცმა პირად საუბარში მითხრა, ჩადებებს მაშინ დავიჯერებ, თუ ამას სასამართლო დაადასტურებსო. აი, ბატონო, დადასტურებაც და, სადაც ერთს ჩაუდეს, იქ ათსაც ჩაუდებენ.

ამ ხელისუფლებას მხოლოდ ხალხის პროტესტი გააჩერებს და ძალიან კარგია, რომ საზოგადოება ჩადებების წინააღმდეგ აქციებს მართავს. მე მჯერა, რომ საზოგადოების პროტესტი „ოცნებას“ უკანონო ქმედებებზე ხელს აალებინებს. ჩადებების მავნე პრაქტიკა კომუნისტების დროიდან მოგვდევს და ვერაფრით მოვიშორეთ.



ზვიად კუპრავა: „ხელისუფლების შეჩერება მხოლოდ საზოგადოებას შეუძლია“

***– ჩადებაზე საუბარი ბოლო პერიოდში გახდა ძალიან აქტუალური. ამის მიზეზი რა არის?***

– ჩადებებმა აქტიური სახე მას შემდეგ მიიღო, რაც „ქართული ოცნება“ მეორე ვადით მოვიდა ხელისუფლებაში.

***– 2012-2016 წლებში მსგავსი ფაქტები არ იყო?***

– როგორ არ იყო, მაგრამ ასეთი აქტიური სახე არ ჰქონდა. ბუდაძეც და შპეტიშვილიც მაგ პერიოდში დააკავეს. რადგან ეს ადამიანები აქტიურები არ იყვნენ, ამ საქმეს დიდი რეზონანსი არ გამოუწვევია. ხელისუფლებაში „ოცნების“ მეორედ მოსვლის შემდეგ საზოგადოებრივად აქტიური ადამიანების ოჯახებს მიადგნენ. პრეზიდენტის ოჯახის ახლობლებსაც არ ერიდებიან და სხვაზე რა უნდა ვილაპარაკო.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ამ მეთოდით იმ ადამიანებს ებრძვის, რომლებიც მისი წინააღმდეგი არიან?***

– კი არ ვფიქრობ, ასეა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის 4-წლიანი ვადა გაინაღდა და ახლა ისეთი ადამიანების ჩამოშორებას ცდილობს, რომლებიც მის მიმართ კრიტიკულად იქნებიან განწყობილი. ამისთვის იარაღისა და ნარკოტიკების ჩადების მეთოდს იყენებენ.

მინდა, მივმართო პოლიციელებს, რომლებიც უკანონო ბრძანების გამცემი ხელისუფლების ხელში დანაშაულის იარაღად იქცნენ. ჩადება უმძიმესი დანაშაულია და ადრე თუ გვიან ამაზე მათ პასუხი მოეთხოვებათ. ეს ყველა მათგანმა უნდა გაიაზროს. არცერთი თანამდებობა და ხელფასი მსგავსი უკანონობის ჩადენად არ ღირს.

# დავით ლორთქიფანიძე: „პაატა ლეჟავამ გამოძიებას პასუხი უნდა გასცეს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ თუ ძალოვანი უწყების წარმომადგენლების მხრიდან ერთი უმნიშვნელო გადაცდომაც მოხდება, ისინი სანიმუშოდ უნდა დაისაჯონ.

***– ბატონო დავით, თქვენ გამორიცხავთ, სააკაშვილის პერიოდისაგან განსხვავებით, დღეს ნარკოტიკების ჩადება ხდებოდეს. რატომ?***

– ციხისთვის არავინ მემეტება, მაგრამ გეტყვით, რას ემყარება ჩემი მოსაზრება. დაკავებულის ახლობლები აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ახალგაზრდა იძულების წესით, ცივი იარაღის, დანის დადებით მანქანაში ჩატენეს და წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მანამდე, სანამ ეს ფაქტი მოხდებოდა, ამ ახალგაზრდას აშანტაჟებდნენ, ემუქრებოდნენ, უგზავნიდნენ სატელეფონო შეტყობინებებს, ურეკავდნენ. თუ ასე იყო, უსიამოვნო ინციდენტის მოხდენამდე რატომ არ გააჟღერეს? იმავე პროკურატურაში, პოლიციაში უნდა მისულიყვნენ და დაეფიქსირებინათ.

***– მხოლოდ ეს გაეჭვებთ?***

– გარდა ამისა, კიდევ ერთი რამ არის საეჭვო – პოლიციის თანამშრომელმა, რომელსაც აქვს ტაბელური იარაღი, ნაკლებ რეალურად მეჩვენება, ცივი იარაღი დაადოს, თუ, ვთქვათ, დამნაშავე არ ემორჩილება. ასეთ შემთხვევაში პოლიციელი ცივ იარაღს რატომ გამოიყენებს? პოლიციელი გამოიყენებს ტაბელურ იარაღს (რა თქმა უნდა, სროლას არ ვგულისხმობ) და ადამიანს დაიმორჩილებს. დანის ფიგურირება, დანის დადებით პოლიციაში წაყვანა მთლად რელევანტურად



არ ჟღერს, თუმცა, გამორიცხვა იმისა, რომ, დავუშვათ, პოლიციაში ვილაც იყოს ჩარჩენილი, არ შეიძლება. ჩვენ არაფრისგან დაზღვეული არ ვართ.

ამიტომ არსებობს შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია, რომელიც სწავლობს უშუალოდ პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩადენილ დანაშაულს.

ჩვენი ხელისუფლების პირობებში არის შესაძლებლობა, ფაქტი ნამდვილად იქნეს გამოძიებული და, თუ პოლიციელებმა გადაამეტეს თავიანთ უფლებამოსილებებს, ისინი უნდა დაისაჯონ.

აპრიორი იმის მტკიცება, რომ გრძელდება ჩადებები და მოქმედებს ეს ინსტიტუტი, არასწორია. მე, როგორც ხელისუფლების მხარდამჭერმა და გუნდის წევრმა, აპრიორი შემიძლია ვთქვა, რომ ის, რაც იყო წინა ხელისუფლების დროს, აღარ არის დღეს.

თუ ძალოვანი უწყების წარმომადგენლისგან ერთი უმნიშვნელო გადაცდომაც მოხდება, ის სანიმუშოდ უნდა დაისაჯოს. ინდულგენციას არ წარმოადგენს ვინმეს შვილობა ან ვინმეს შვილის მეგობრობა.

***– ინდულგენცია ვინმეს შვილობა ნამდვილად არ არის, მაგრამ, როდესაც დედა აცხადებს, რომ არ ჩაუტარებიათ სახლში ჩხრეკა, მანქანა არ დაუთვალიერებიათ და არსებობს კონკრეტული დარღვევები საქმეში, ანუ გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები არ არის ჩატარებული და ახლობლებს ეჭვის საფუძველს უქმნიან, ეს ეჭვისთვის სივრცეს არ ტოვებს?***

– თუ იმგვარ ფაქტს ჰქონდა ადგილი, რაზეც ელისო კილაძე ლაპარაკობს, მართლაც სერიოზულ გადაცდომებზეა საუბარი. როგორც მე ვიცი, ისინი საქმეს ასაჩივრებენ. თუ იქ არასწორადაა რაიმე, სასამართლო შეაფასებს. თუ მტკიცებულებები არასწორადაა მოპოვებული, არასათანადოდ ხდება ადამიანის დაკავება, სასამართლო ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

იმას ვერავინ უარყოფს, რომ დღეს მოქალაქეებს შეუძლიათ გამოვიდნენ, პროტესტი ნებისმიერი ფორმით გამოხატონ. შეზღუდული არავინ არის, მათ შორის, არც ამ შემთხვევაში ხარშილაძის დედაც. მივიდნენ შს სამინისტროსთან, ამოიკერეს ჯიბეები. ეს არის პროტესტის ერთგვარი ფორმა, რომელიც საზოგადოებას არ აძლევს მოდუნების საშუალებას. საზოგადოება ყოველთვის უნდა იყოს მზად, თუ მათ მიმართ სახელმწიფო კანონის ჩარჩოებს გასცდება და რეპრესიული რეჟიმისკენ გადაიხრება, ამაზე ხმა ამოიღოს. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება ამის გაკეთების საშუალებას არავის მისცემს.

***– სააკაშვილის რეჟიმმა ძალიან შეურყია ნდობა სამართალდამცავ სტრუქტურებს. სააკაშვილის შემდეგ არ მომხდარა ძირეული წმენდა. ეს სტრუქტურები სახელმწიფოს უსაფრთხოებას ემსახურებიან, მაგრამ, როდესაც კეთდება განცხადებები, რომ ვიღაცას ნარკოტიკი ჩაუდეს, ვიღაც სპეციალურად დააპატიმრეს, ეს ხელისუფლებისგან საგანგებო ყურადღებას მოითხოვს იმის გასარკვევად, ამგვარი ქმედება შეგნებულად ხომ არ ხდება ან დივერსიას ხომ არ აქვს ადგილი.***

– გეთანხმებით. უმკაცრესად უნდა დაისაჯოს ყველა ის ადამიანი, რომელიც ადამიანის უფლებების ხელყოფისკენ გადადგამს ერთ ნაბიჯს მაინც. თუ ვინმეს ქმედებით ძალოვანი სტრუქტურების ნდობის ხარისხი იკარგება, დამერწმუნეთ, ამას რეაგირება აუცილებლად მოჰყვება, რადგან ყველაფერი ეჭვის ქვეშ დგება. სადაც ეჭვია, იქ განვითარებას ადგილი აღარ აქვს.

***– ასევე, ცხადია, ვიღაცის შვილობა ინდულგენცია არ არის, მაგრამ, როდესაც პრეზიდენტის შვილი აცხადებს, რომ თურმე შესაძლებელია, ვიღაცას ნარკოტიკი ჩაუდონ, მათ შორის, მის მეგობრებსაც, ესეც ხომ დასაფიქრებელია?***

– პრეზიდენტის შვილიც ჩვეულებრივი მოქალაქეა, როგორც სხვა მოქალაქეები ამ ქვეყანაში. მისი უფლებაა, რას იტყვის, თუმცა, რადგან თქვენ, როგორც ჟურნალისტი, აქცენტს აკეთებთ პრეზიდენტის შვილობაზე, გეტყვით, რომ მე არ მომწონს, როცა პრეზიდენტის შვილი (იმ პრეზიდენტის, რომელიც არის მთავარსარდალი და არჩეული პრეზიდენტი) თავისი ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს აპრიორი შეურაცხმყოფელ კონტექსტში მოიხსენიებს.

რატომ აკეთებს ამას? მისი ნებაა. მე, როგორც ერთ მოქალაქესა და ერთ პოლიტიკოსს, არ მომწონს, რომ პრეზიდენტის შვილს ასეთი მწვავე და რადიკალური პოზიცია აქვს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების მიმართ.

რასაც ანა მარგველაშვილი ლაპარაკობს, მისი პოზიციაა. მას აქვს უფლება, რასაც თვითონ საჭიროდ ჩათვლის, ის ილაპარაკოს და იმაზე გააკეთოს აქცენტები, თუმცა, არის მეორეც – სამართლებრივი მხარე, რაზეც სათანადო უწყებებმა სათანადო რეაგირება უნდა მოახდინონ.

***– თქვენ წლებია, მოითხოვთ 26 მაისის დარბევის დროს დაღუპული სულიკო ასათიანის საქმის გამოძიებას და ამ საკითხზე დიდი ხანია წერთ, მოუწოდებთ, გამოიძიონ. რა ვითარებაა ამ საქმესთან დაკავშირებით?***

– ახლახან შალვა ობგაიძის ეპიზოდთან დაკავშირებით დაიკითხა დიმიტრი ლორთქიფანიძე. მე, დიმიტრი ლორთქიფანიძემ და გვანცა ყუფარაძის მამამ შალვა ობგაიძე 27 მაისს, ფაქტობრივად, მოვიპარეთ საავადმყოფოდან, რითაც გადავარჩინეთ მისი სიცოცხლე, რომ სხვა ადამიანების ბედი არ გაეზიარებინა.

სულიკო ასათიანი მოკლეს და მაღაზიის თავზე დააგდეს. ამ საქმეში ფიგურირებს ნაციონალების აქტივისტი პაატა ლეჟავა, რომელიც ნაციონალების ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე და სამი მოწვევის დეპუტატი იყო. პაატა ლეჟავასთან დაკავშირებით სულიკო ასათიანის ოჯახის წევრებს დაწერილი აქვთ ჩვენება, რომ ოჯახს აშანტაჟებდა. რადგან 26 მაისის თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა, მე, უბრალოდ, პროკურატურას კიდევ ერთხელ მივმართე, რომ დროა, ლეჟავა დაიბარონ პროკურატურაში, გამოჰკითხონ, რატომ აშანტაჟებდა და ატერორებდა სულიკო ასათიანის ოჯახს, რომ თუ ისინი ჩივილს თავს არ დაანებებდნენ, ცუდად დაამთავრებდნენ.

ეს არის ფაქტი. პარლამენტის წევრი ხელს უნდა უწყობდეს, ხელს კი არ უნდა უშლიდეს და აშინებდეს ისედაც გაუბედურებულ ოჯახს. ამის გამო, ვფიქრობ, პროკურატურას ლეჟავასთან კითხვები ექნება, რატომ ჩადიოდა ამას.

რასაც ლეჟავა ჩადიოდა, სისხლის სამართლის დანაშაულია. ლეჟავამ უნდა თქვას, ვინმე ავალებდა იმას, რასაც ის აკეთებდა, თუ ეს მისი ინიციატივა იყო.

თუ ლეჟავა თავისი ინიციატივით აშანტაჟებდა 26 მაისს მოკლული სულიკო ასათიანის ოჯახს, ვაია, თუ შეკვეთით აკეთებდა ყოველივეს – ვუი. ამიტომ ლეჟავას, უნდა თუ არა, გამოძიებას პასუხი უნდა გასცეს.

# თბილისის მერის პოსტზე „ოცნება“ კახა კალაძეს წარადგენს?

შორენა მარსაგიშვილი



პარტიებმა ნელ-ნელა დაიწყეს მერობის კანდიდატების გამომზეურება. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ დედაქალაქის მერობის ერთ-ერთი კანდიდატი, შესაძლოა, კახა კალაძე ყოფილიყო. ეს ინფორმაცია ამ დღეებში რესპუბლიკურმა პარტიამაც გააჟღერა. ინფორმაციას „ოცნებაშიც“ ადასტურებენ, თუმცა პირად საუბრებში ამბობენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ივანიშვილი მიიღებს და მანამდე საჯარო კომენტარების გაკეთებას ერიდებიან.

ამ საკითხზე უფრო თავისუფლად საუბრობს ოპოზიცია. მისი ნაწილი ფიქრობს, რომ კალაძე მერობისთვის ზედგამოჭრილი კადრია, ნაწილი კი კალაძის გამერების შემთხვევაში მერიის დინამოს სტადიონზე გადატანას ითხოვს.

ყოფილი დეპუტატი ანი მიროტაძე ეროვნულ ფორუმთან ერთად რამდენიმე წლის განმავლობაში იყო კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ და იცის, როგორ ხდება კანდიდატების შერჩევა.

მისი თქმით, დედაქალაქის მერის კანდიდატურის შერჩევაში ბოლო სიტყვას ამჯერადაც ბიძინა ივანიშვილი იტყვის.

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „ოცნებას“ დედაქალაქის მერობის კანდიდატი ჯერ შერჩეული არ ჰყავს. კახა კალაძის წარდგენა ამ თანამდებობაზე ჯერ მხოლოდ ვერსიაა. საბოლოო გადაწყვეტილებას ივანიშვილი მიიღებს. თბილისის მერობისა და პრეზიდენტის შერჩევა მასზეა დამოკიდებული, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში მიროტაძე.



მისი თქმით, დავით ნარმანიასა და გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურები ყოფილმა პრემიერმა ერთპიროვნულად შეარჩია და სხვისი აზრი არ გაითვალისწინა.

დედაქალაქის გარდა, მერს კიდევ რამდენიმე ქალაქი ირჩევს. როგორც მიროტაძე ამბობს, ამ შემთხვევაში კოალიციამ თავად შეარჩია კანდიდატურები.

– რა თქმა უნდა, მოხდა ივანიშვილის აზრის გათვალისწინება, მაგრამ ამ შემთხვევაში არჩევანის თავისუფლება ბევრად მეტი იყო, – აღნიშნავს ყოფილი დეპუტატი.

ის დარწმუნებულია, რომ ივანიშვილი თბილისის მერობის კანდიდატურას ერთპიროვნულად მიიღებს. მიროტაძე ეჭვობს, რომ ივანიშვილმა კალაძე შეარჩიოს.

– თავად კახა კალაძის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, შესაძლოა, ის კარგი მერიც კი იყოს, მაგრამ მეეჭვება, ივანიშვილმა მის კანდიდატურას დაუჭიროს მხარი. მას ამ თანამდებობაზე ისეთი ადამიანები სჭირდება, რომლებსაც სრულად მართავს. კალაძე კი ასეთი ტიპი არ არის. ჩემი აზრით, ამ თანამდებობისთვის ყოფილი პრემიერი ნარმანია 2-ს გამონახავს, – აღნიშნავს „ახალ თაობასთან“ საუბარში ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი.

ვინ იქნება ნარმანია 2, ამის თქმა მიროტაძეს ამ ეტაპზე უჭირს, ისევე, როგორც იმის თქმა, თუ ვინ იქნება ფორუმის მერობის კანდიდატი.

– ჩვენ ამ არჩევნებში აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას. მერობის კანდიდატი გვეყოლება როგორც თბილისში, ასევე სხვა თვითმმართველ ქალაქებში. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მერობის კანდიდატებს დამოუკიდებლად არ წარმოვადგენთ, ეს სხვა ძალებთან შეთანხმებით მოხდება, – ამბობს მიროტაძე.

ის არ აკონკრეტებს, თუ რომელ პარტიებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ამბობს, რომ ამის შესახებ ცნობილი რამდენიმე თვეში გახდება.

ერთ რამეში კი ღრმადაა დარწმუნებული – აუცილებელია ოპოზიციის გაერთიანება არაფორმალური მმართველობის წინააღმდეგ.

კალაძე რომ „ოცნების“ მერობის კანდიდატი იქნება თბილისში, ამაში ბოლომდე არც „ახალი საქართველოა“ დარწმუნებული. ამის მიუხედავად, მისი ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ყველაზე შორს წავიდა და იმ ხალხის სავარაუდო სიაც კი დაასახელა, რომლებითაც დედაქალაქის მომავალი მთავრობა დაკომპლექტდება.

– კალაძემ პოლიტიკაში მოიყვანა: ჯამარაული – გარდაბნის გამგებლად, ლევან კობიაშვილი და მიხეილ ყაველაშვილი პარლამენტში, ცოლისძმა გიორგი არველაძე თბილისის მერიაში. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, მივიღოთ ქალაქის ასეთი მთავრობა: როინ კვასხვაძე, ალექსანდრე ამისულაშვილი, მურთაზ შელია, კახი გოგიჩაიშვილი, გიორგი ნემსაძე, გიორგი ქინქლაძე, ლევან კობიაშვილი, თემურ ქეცბაია,

ალექსანდრე იაშვილი, მიხეილ ყაველაშვილი და გიორგი დემეტრაძე, – ასეთია ხაბეიშვილის პროგნოზი.

„ოცნების“ კულუარებში თბილისის მერობის კანდიდატად მამუკა ხაზარაძეც განიხილება.

როგორც „ახალ თაობას“ „ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, დახურულ შეხვედრებზე ირაკლი ღარიბაშვილის გვარმაც გაიჟღერა.

ღარიბაშვილის კანდიდატურის დასახელებას მიესალმება პატრიოტთა ალიანსის წევრი ლადო სადღობელაშვილი, თუმცა ეჭვობს, რომ ეს ასე არ მოხდება. მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ ოფიციალურად მიღებული არ არის, მაგრამ სასწორი ამ მომენტისთვის კალაძისკენ არის გადახრილი.

– კალაძე რომ „ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი იქნებოდა, ამის შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ვთქვი „ახალ თაობასთან“ საუბარში. მაშინ საუბრობდნენ მამუკა ხაზარაძეზეც, მაგრამ მისი კანდიდატურა ჩააჩოჩეს და მხოლოდ იმიტომ, რომ ის კვირიკაშვილის კადრად მოიაზრებოდა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ლადო სადღობელაშვილმა.

მისი თქმით, „ოცნებაში“ კვირიკაშვილის პოზიციები სერიოზულად არის შერყეული.

– ესეც რომ არ იყოს, ხელისუფლებაში კვირიკაშვილის კადრებს უკვე ეჭვის თვალით უყურებენ. ალბათ, გახსოვთ დავით კოლუაშვილთან დაკავშირებული სკანდალი. ეს ადამიანი „ოცნების“ პოლიტსაბჭოში იყო, საარჩევნო სიის პირველ ათეულშიც მოიაზრებოდა და მან წინა ხელისუფლების ქება დაიწყო. ამის შემდეგ კოლუაშვილი „ოცნებას“ ჩამოაშორეს, კვირიკაშვილს კი შეზღუდვები დაუწესეს, – აღნიშნავს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.

მისი თქმით, ამ შეზღუდვების შედეგი პარლამენტის შემადგენლობაზეც აისახა.

– „ოცნებას“ პარლამენტში 117 დეპუტატი ჰყავს და აქედან მხოლოდ 2 – ბიძინა გეგიძე და ლევან გოგიჩაიშვილი ითვლებიან პრემიერის გუნდის წევრებად, – ამბობს სადღობელაშვილი.

მისი თქმით, ახლო მომავალში პრემიერის კადრები კიდევ უფრო მძიმე დღეში აღმოჩნდებიან,

## „გიორგი კვირიკაშვილი ხალხს ემშვიდობება და წასასვლელად ემზადება“



რადგან მთავრობის მეთაური წასვლას აპირებს.

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, კვირიკაშვილი ვიღაც ტიპებს უკვე დაემშვიდობა „ოცნებიდან“. ის მალე წავა. ხელისუფლებაში ვარაუდობენ, რომ ეს აპრილის დასაწყისში მოხდება.

მისი ამბავი რაღაცით ჰგავს ღარიბაშვილის ისტორიას. ისიც მოულოდნელად წავიდა პრემიერობიდან. თანამდებობა მან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე თვეში დატოვა. კვირიკაშვილმაც ევროპასთან უვიზო მიმოსვლაზე მოაწერა ხელი. მას თან გააყოლებენ საგარეო საქმეთა მინისტრ თეა წულუკიანსა და ალექსანდრე ჯეჯელავას. პოსტს, ალბათ, ბღუჯა-ბღუჯა ქუმსიშვილიც დატოვებს, – ვარაუდობს ალიანსელი.

სადღობელაშვილის ინფორმაციით, ზევით გიორგი მღებრიშვილის შემცვლელზეც სერიოზულად ფიქრობენ.

– შინაგან საქმეთა მინისტრი დღეს კახი კახიშვილის ხათრით ინარჩუნებს პოსტს – ისინი ძმაკაცები არიან. ვიღაცებს არ სურთ, კახიშვილი გაანაწყენონ. ის მთავრობაში ერთადერთი ადამიანია, რომლის მიმართაც ყველა დადებითად არის განწყობილი. მას ყველაზე რადიკალური ოპოზიციაც კი ვერ უძებნის წუნს, – აღნიშნავს სადღობელაშვილი.

მის ხელთ არსებული ინფორმაციით, თანამდებობას ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძეც დატოვებს, ოღონდ ის საპატიო მიზეზით წავა:

– კალაძის მიმართ ჩემი უარყოფითი პოზიცია არაერთხელ დამიფიქსირებია. ამის მიუხედავად, უნდა ვაღიარო, რომ თბილისის მერობა მისთვის ზედგამოჭრილი თანამდებობა იქნება. საბოლოო გადაწყვეტილებას ივანიშვილი მიიღებს და, ვფიქრობ, ის ენერგეტიკის მინისტრზე შეაჩერებს არჩევანს.

ოპოზიციონერის თქმით, არსებობს რამდენიმე არგუმენტი, რომელთა გათვალისწინებით არჩევანი ენერგეტიკის მოქმედ მამაზე შეჩერდება:

– ვიცეპრემიერი არის ბერა ივანიშვილის ახლო მეგობარი. ის შეეცდება, ბერას დახმარებით დაარწმუნოს ყოფილი პრემიერი, რომ მის კანდიდატურას დაუჭიროს მხარი. ამის გარდა, კალაძე არის ცნობადი სახე და მერის თანამდებობას მისი ტიპაჟის ხალხი უხდება. ის ასევე ამოვარდნილია მთავრობის კურსიდან. მთელი მთავრობა ევროპა-ევროპას გაიძახის, ეს კი ერთადერთია, რომელიც რუსეთთან დიალოგს აწარმოებს.

სადღობელაშვილი არ გამორიცხავს, რომ დედაქალაქის მერის პოსტზე სხვების კანდიდატურებიც დასახელდეს.

– მე არ ვიცი, რა მოხდება რამდენიმე კვირის შემდეგ, მაგრამ, დღეის მდგომარეობით, ყველაზე მეტი შანსი ენერგეტიკის მინისტრს აქვს, – ასეთია პატრიოტთა ალიანსის წევრის პოზიცია.

ხელისუფლებაში დედაქალაქის მერობის კანდიდატის შერჩევაზე აქტიური მუშაობა რომ მიმდინარეობს, ამის შესახებ ინფორმაციას ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილიც ფლობს.

ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებამდე მას კომენტარის გაკეთება უჭირს, თუმცა ამბობს, რომ იმ ხალხის მიმართ, რომლებიც ამ პოსტზე მოიაზრებიან, ბევრი კითხვა არსებობს.

– მკითხაობის დონეზე არ მინდა იმაზე საუბარი, თუ ვინ იქნება მერობის კანდიდატი. დასახელებულია 3 გვარი – კახა კალაძე, ლევან გაჩეჩილაძე და მამუკა ხაზარაძე. მივმართავ გადაწყვეტილების მიმღებ ხალხს, არცერთი მათგანი არ დაასახელონ მერობის კანდიდატად. სამივე მათგანის მიმართ სერიოზული კითხვები აქვს ხალხს. სამივე მათგანის გვარი ეკონომიკურ დანაშაულთან არის დაკავშირებული, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში კასრელიშვილი.



მისი განცხადებით, კარგი იქნება, თუ „ოცნებაში“ სხვა კანდიდატურებს შეარჩევენ. თბილისის მერობის სასურველი კანდიდატი მას უკვე შერჩეული ჰყავს, ოღონდ არა – „ოცნებიდან“.

– მესმის, რომ აქცენტი ცნობად სახეებზე კეთდება, მაგრამ ცნობადი სახე, შესაძლოა, არაპოპულარულიც იყოს. კალაძე, გაჩეჩილაძე და ხაზარაძე სწორედ არაპოპულარული სახეები არიან. უმჯობესია, „ოცნებამ“ შედარებით ნაკლებად ცნობადი, მაგრამ პატიოსანი კანდიდატურა დაასახელოს. ხელისუფლებაში ასეთი ხალხი ჯერ ისევ არის.

პირადად ჩემთვის თბილისის მერობის ყველაზე მისაღები კანდიდატი ზაალ კასრელიშვილია. ცუდი მერი არ ვიქნები და შეიძლება, მივიღო კიდეც არჩევნებში მონაწილეობა, – ამბობს ანალიტიკოსი.



მისი თქმით, თვითმმართველობის არჩევნები „ოცნებისთვის“ ძალიან რთული იქნება. სირთულის მიზეზი კი, კასრელიშვილის თქმით, შემდეგში მდგომარეობს:

– მოსახლეობა ძალიან მძიმე დღეშია. ეკონომიკური მდგომარეობა ვერ უმჯობესდება. „ოცნება“ დაპირებებს არ ასრულებს. ისინი ნაციონალებისგან მტრის ხატის შექმნით შორს ვეღარ წავლენ. 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნები ძალიან პრეტენზიული იქნება. უმჯობესია, თუ „ოცნება“ ყველა დონეზე ღირსეულ კანდიდატებს დაასახელებს.

ანალიტიკოსი ხელისუფლებას ურჩევს, არჩევნების გაყალბებაზე არც კი იოცნებოს.

– იმედია, „ოცნება“ ფონს გასვლას არჩევნების გაყალბებით არ შეეცდება. დასავლეთი ამ არჩევნებს გამადიდებელი შუშით დააკვირდება. თვალს არაფერზე აღარ დახუჭავენ. მათ ჩვენი ხელისუფლების მიმართ ისედაც ბევრი პრეტენზია აქვთ, – ასეთია კასრელიშვილის მოსაზრება.

◆ ◆ ◆

მართალია, კალაძის დედაქალაქის მერის პოსტზე წარდგენის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ენერგეტიკის სამინისტროში მინისტრის სავარაუდო შემცვლელს უკვე ეძებენ.

კალაძის შემცვლელებად მისი მოადგილეები მარიამ ვალიშვილი და ილია ელოშვილი მოიაზრებიან.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში უვიზო მიმოსვლისთვის ემზადებიან

ევროპასთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში სამზადისი უკვე დაიწყო.

28 მარტს საქართველოს პრემიერი, მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებთან, წარმატებულ სტუდენტებთან, დევნილ ბავშვებთან და ჟურნალისტებთან ერთად, ევროპის მიმართულებით სწორედ ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტიდან გაემგზავრება.

აეროპორტების გაერთიანების ხელმძღვანელ ქეთევან ალექსიძის თქმით, ეწყობა სპეციალური დეკორაციები და მგზავრებს ელოდებათ სიურპრიზები.

– ჩვენ მნიშვნელოვანი კარი გვეხსნება ევროპაში. ეს არ არის მარტო მოგზაურობა, ეს არის რეგიონი, საიდანაც შეგვიძლია ძალიან კარგი პრინციპები შემოვიტანოთ და ხელი შევუწყოთ საქართველოს განვითარებას. ჩვენ გავაკეთეთ გარკვეული ინფრასტრუქტურული რეკონსტრუქციები, რათა მგზავრთა გაზრდილ ნაკადს შევხვედროდით მომზადებული. დავამატეთ სარეგისტრაციო დახლები, ასევე, ერთი გასასვლელი. დავნერგეთ აგრეთვე გარკვეული პროცედურები იმისთვის, რომ რეგისტრაცია უფრო გამარტივებულიყო. ვცდილობთ გავახალისოთ აეროპორტი გარკვეული დეკორაციებით. მნიშვნელოვანია, რომ ტურისტებს სიურპრიზებიც ელოდებათ, – განაცხადა ქეთევან ალექსიძემ.



უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ 28 მარტს ფრენები ბუდაპეშტის, სალონიკის, ლარნაკასა და ვარშავის მიმართულებით განხორციელდება.

# დონალდ ტრამპი საგადასახადო სისტემის შეცვლას გეგმავს



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი საგადასახადო სისტემის შეცვლას გეგმავს. ამ დრომდე ტრამპი აცხადებდა, რომ საგადასახადო სისტემაში ცვლილებას მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების შემდეგ დაიწყებდა, თუმცა მას შემდეგ, რაც პარასკევს ინიციატივის განსახორციელებლად ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ დააგროვა, გადაწყვეტილება შეცვალა.

ცნობილია, რომ ტრამპი გადასახადების შემცირებით ფედერალურ ბიუჯეტში მიღებული დანაკლისის ანაზღაურებას ახალი ჯანდაცვის სისტემის შედეგად დაზოგილი თანხით გეგმავდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც თეთრი სახლის ლიდერის მიერ დაგეგმილი ცვლილება ჯანდაცვის სისტემაში არ განხორციელდა, ექსპერტებს საგადასახადო ცვლილებების შესახებ პროგნოზების გაკეთება უჭირთ.

ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ტრამპი ამ პირობებში გადასახადების შემცირებას დაიწყებს, შედეგად ბიუჯეტის დეფიციტი სულ უფრო გაიზრდება.

# შავი ზღვის აუზში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საკონტეინერო გადაზიდვები შემცირდა

„პორტნიუსის" ინფორმაციით, 2016 წელს საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, ბულგარეთისა და რუმინეთის პორტებში 2 460 028 TEUs კონტეინერი გადამუშავდა, მათ შორის 1 785 618 TEUs დატვირთული იყო. წლიურმა ზრდამ რეგიონში 9.62% შეადგინა.

საქართველოში საკონტეინერო გადაზიდვები 12% შემცირდა, უკრაინაში 30,66% გაიზარდა, რუმინეთში ზრდამ 4.71% შეადგინა, რუსეთში 7,52%, ხოლო ბულგარეთში 4.65%.

დატვირთული კონტეინერების საერთო მოცულობაში 51.37% იმპორტზე მოდიოდა, 48.63% ექსპორტზე. ყველაზე დიდი, რეკორდული ზრდა საექსპორტო ტვირთებში უკრაინასა და რუსეთში დაფიქსირდა, 29.6% და 24.01%.

გადამუშავებული კონტეინერების 29.87% უკრაინაზე მოდიოდა, 24.99% რუმინეთზე, 24.92% რუსეთზე, 10,9% საქართველოზე და 9.29% ბულგარეთზე.



რაც შეეხება პორტების რეიტინგს, პირველ ადგილზე დარჩა კონსტანცა, მესამიდან მეორეზე დაწინაურდა ოდესის ნავსადგური, მესამეზე გადაინაცვლა ფოთმა, მეოთხე და მეხუთე ადგილებზე რუსული ნავსადგურებია.

**კომერსანტი**

# ბარათაშვილის ქუჩიდან და კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიიდან გარემოვაჭრეები გაიყვანეს



თბილისის მერია უნებართვო გარევაჭრობის წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას განაგრძობს. გუშინ დილიდან მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა ბარათაშვილის ქუჩასა და კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე უნებართვო კონსტრუქციების დაშლა დაიწყეს. „თბილსერვის ჯგუფმა" კი ტერიტორია დაასუფთავა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე მოვაჭრეები მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა რამდენიმე დღის წინ გააფრთხილა, რომ მათ უნებართვო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება აღარ მიეცემოდათ, შესაბამისად დღეს მოვაჭრეები ტერიტორიაზე არ გამოჩენილან.

დედაქალაქის მთავრობამ უკვე გამართა მოლაპარაკებები ბაზრობების ასოციაციის წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც გადაწყდა, რომ ასოციაცია, შეღავათიანი პირობებით, 6 თვის ვადით, გარემოვაჭრეებს სავაჭრო ადგილს დაუთმობს. ბაზრობების დირექცია მეწარმეებს საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიან პირობებში რეალიზაციისთვის ყველა პირობას შეუქმნის.

გარემოვაჭრეებს საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია რკინიგზის სადგურსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, დინამოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მეტროსადგურ დიდუბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძველი დეზერტირების ბაზრის ადგილას აშენებული ახალი ბაზრის ტერიტორიასა და ისნისა და სამგორის ბაზრობებზე შეეძლებათ.

შეგახსენებთ, გარევაჭრობის აკრძალვის მოთხოვნით თბილისის მერიასა და რაიონულ გამგეობებს, ასევე მაჟორიტარ დეპუტატებს მოქალაქეებმა არაერთხელ მიმართეს. გარდა იმისა, რომ გარევაჭრობა უკანონოდ ხორციელდება, ასევე, ირღვევა მალფუჭებადი პროდუქციის შენახვის პირობები, ხდება გაურკვეველი წარმოების პროდუქციის გაყიდვა, ჩნდება ანტისანიტარია, მახინჯდება თბილისის იერსახე და ფერხდება გადაადგილება.

დედაქალაქის მერია ანალოგიური სახის ღონისძიებებს მომავალშიც განახორციელებს და მოვაჭრეებს უნებართვო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება აღარ მიეცემათ.

**ნიუპოსტი**

# მთავრობამ მესტიაში, ჭუბერში, 97,5 ჰექტარი მიწა 1 აშშ დოლარად გაასხვისა

საქართველოს მთავრობამ, 14 მარტის დადგენილებით, სს „ნენსკრა ჰიდროს" სოფელ ჭუბერში 97,5 ჰექტარი მიწის ფართობი პირდაპირი მიყიდვის ფორმით ერთ აშშ დოლარად საკუთრებაში გადასცა.

– პრემიერის მიერ ხელმოწერილი ბრძანების მიხედვით, აღნიშნული ქონება საპრივატიზაციო პირობაა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს", სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და სს „ნენსკრა ჰიდროს" შორის 2015 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული საიმპლემენტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული „ნენსკრა ჰესის" აშენება და ექსპლუატაციაში მიღება, – წერს „ნეტგაზეთი".

280 მეგავატის სიმძლავრის ჰესის მშენებლობის დაწყების შესახებ ხელშეკრულებას ხელი 2015 წლის აგვისტოში მოაწერეს. მშენებლობას კორეული კომპანია Kwaters ახორციელებს.

ოფიციალური ინფორმაციით, ჰესი ელექტროენერგიის გამომუშავებას 2019 წლიდან დაიწყებს, ხოლო პროექტის მშენებლობა 2021 წელს დასრულდება.

„ნეტგაზეთის" ინფორმაციით, ჰესის ღირებულება 1 მილიარდი აშშ დოლარია. ჰესის მშენებლობას საბანკო სესხის ნაწილში „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი", „აზიის განვითარების ბანკი" და კორეის „ექსიმ ბანკი" მონაწილეობენ. ჰესის გამომუშავება წელიწადში 1.2 მილიარდი კვტ/სთ იქნება.

ჰესის მშენებლობას აპროტესტებს ადგილობრივი მოსახლეობა.

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერში დიდი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ აქცია 2016 წლის ივლისშიც გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებისადმი 4-პუნქტიანი მოთხოვნათა წერილი შეიმუშავეს. ისინი განსაკუთრებით ნენსკრაჰესის მშენებლობას აპროტესტებენ. მათ სურთ, რომ შეწყდეს პროექტის დაფინანსების განხილვა, სანამ:

არ შეიქმნება ალტერნატიული პროექტი, რომელიც არ გულისხმობს ხეობის დატბორვას;

არ იქნება წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ რა სარგებელს მოუტანს პროექტი თემს და რამდენად საპირწონეა ეს სარგებელი იმ ზიანის, რაც მიადგება ქვეყანას;

არ მოხდება გეოლოგიური საფრთხეების შესწავლა და თემისათვის წარდგენა;

არ მოხდება პროექტის საჯარო განხილვა, სადაც ჩართული იქნებიან, როგორც საერთაშორისო ექსპერტები, ასევე, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

**ნეტგაზეთი**

# 27, 29 და 31 მარტს რუსთავის ნაწილს წყალმომარაგება დროებით შეეზღუდება

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო 27, 29 და 31 მარტს, რუსთავის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს, მშენებელთა დასახლებას და სამრეწველო ზონას წყალმომარაგება დროებით შეეზღუდება.

– 27, 29 და 31 მარტს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას, მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზზე „მარანი", დაგეგმილი აქვს სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება.

აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, „რუსთავის წყლის" ხრამის სათავე ნაგებობას შეუწყდება ელექტროენერგიის მიწოდება, რის გამოც 27, 29 და 31 მარტს, დილის 10:00 საათიდან საღამოს 21:00 საათამდე, წყალმომარაგება შეეზღუდება რუსთავის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს, მშენებელთა დასახლებას და სამრეწველო ზონას, ხოლო წყალი დაბალი წნევით მიეწოდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების ნაწილს.




წყალმომარაგების შეწყვეტისა და აღდგენის შესახებ ინფორმაციას კომპანია „რუსთავის წყალი" აბონენტებს წინასწარ, SMS-შეტყობინების სახით მიაწვდის. დეტალური ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია კომპანიის ცხელი ხაზის – 22-00-11 და ფეისბუქის საშუალებით. კომპანია „რუსთავის წყალი" დისკომფორტისთვის ბოდიშს უხდის მომხმარებლებს, – აღნიშნულია კომპანიის განცხადებაში.

**ნიუპოსტი**

# სიღარიბეში დაბადება წარმატებას ხელს უშლის

ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელ ჯანეტ იელენის თქმით, თქვენი მომავალი ცხოვრება პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ სად დაიბადებით.

ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ დაახლოებით 8.000-9.000 ამერიკელი გამოკითხა და დაუსვა კითხვა, ჰქონდათ თუ არა მათ ბავშვობაში ფინანსური პრობლემები. საინტერესოა, რომ მათ შორის, ვინც კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა, 50%-ს დღემდე მძიმე ფინანსური პრობლემების წინააღმდეგ უწევს ბრძოლა.

ფედერალური სარეზერვო ბანკის მონაცემები ჰარვარდის პროფესორების რაჯ ჩეტისა და ნათალიე ჰენდრენის კვლევის შედეგებს იმეორებს.

2014 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ადამიანის ბავშვობა მის სამომავლო ეკონომიკურ წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს.

იელენის მიხედვით, კვლევის შედეგები იმისი დასტურია, რომ დაბალი შემოსავლის მქონე რეგიონებში მაღალი დონის განათლება აუცილებლად უნდა გავრცელდეს. მისი სიტყვებით, ასევე საჭიროა არაფორმალური განათლების მიცემა, რაშიც იგი ტრენინგების ჩატარებასა და უნარების განვითარების აუცილებლობაზე მიუთითებდა.

– ჩვენ უნდა ვიყოთ დარწმუნებულები იმაში, რომ ამერიკაში თითოეულ ბავშვს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს, – განაცხადა ჯანეტ იელენმა.



2004 წელს იელენი ფედერალური სარეზერვო სისტემის პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი გახდა, 2010 წელს ფედერალური სარეზერვო მმართველთა საბჭოს ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს, ხოლო პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ იელენი საბჭოს თავმჯდომარედ 2013 წლის ოქტომბერში დაასახელა.

**კომერსანტი**

# 9 წლის ბავშვი ლიფტის შახტაში ჩავარდა




ადვოკატ დიანა მარტიაშვილის 9 წლის ქალიშვილი ლიფტის შახტაში ჩავარდა და დაიღუპა.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

# სენაკში 8 წლის ნიკა გაბეჩავას ცხედარი იპოვეს

სენაკში, მდინარე ტეხურასა და მიმდებარე ტერიტორიაზე 8 წლის ნიკა გაბეჩავას ცხედარი იპოვეს.

8 წლის ნიკა გაბეჩავას მშობლები შვილის მკვლელობაში მათივე მეზობელს ადანაშაულებენ. მათი ინფორმაციით, 30 წლამდე მამაკაცმა ბიჭი ჯერ მოკლა, შემდეგ კი მდინარე ტეხურაში გადააგდო.



გაბეჩავები საერთო საცხოვრებელში ქირით 5 თვის წინ გადმოვიდნენ. 8 წლის მოზარდი 30 წლამდე დაკავებულს ემეგობრებოდა. ისინი ხშირად ერთად აგროვებდნენ ჯართს.

არსებული ინფორმაციით, ბიჭი მდინარის პირას ჯართს აგროვებდა, როდესაც წყალში ჩავარდა.

დაკავებულის მიმართ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლით არის აღძრული, რაც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისთვის აუცილებელი და გადაუდებელი დახმარების გაუწევლობას გულისხმობს.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დაკავებულ პირს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

8 წლის ბიჭი მიმდინარე წლის 24 თებერვალს გაუჩინარდა. მოზარდს გულის პრობლემები აღენიშნება. ოჯახი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, ამიტომ არასრულწლოვანი ბოთლებსა და ჯართს ხშირად აგროვებდა.

**ნიუპოსტი**

# ზაზა ხატიაშვილი: „ადვოკატები უკანონოდ დააპატიმრეს!“



დღეს, 27 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლო 15:00 საათზე განიხილავს ადვოკატების ნათელა გოდერიძისა და მზევინარ კოსტავას საქმეს.

**ზაზა ხატიაშვილი:**

– კოლეგებო, ადვოკატები სამი თვე უკანონოდ, წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან. 62 წლის პენსიონერ ქალბატონზე, ადვოკატ ნათელა გოდერიძეზე წინასწარი პატიმრობის შეფარდება, რომელსაც დღეში ორი სასამართლო პროცესი ჰქონდა, არის უზნეობის, უკანონობისა და სიბინძურის დემონსტრირება. ადვოკატებთან ამგვარი მოპყრობა დამახასიათებელია ავტოკრატიული, ფეოდალური რეჟიმებისთვის.

ძვირფასო ადვოკატებო, ჩვენი ევროპელი კოლეგები, რომლებსაც გავუგზავნე ადვოკატებზე წაყენებული ბრალდება, გაოგნებულები არიან. მეკითხებიან, როგორ უნდა შეიყვანოს შეცდომაში ადვოკატმა ნოტარიუსი, თუ ადვოკატმა არ წარუდგინა ყალბი დოკუმენტი?

ევროპელ ადვოკატებს არ უნახავთ და არ გაუგონიათ ასეთი ბრალდება ადვოკატებთან მიმართებაში.

მურუსიძეების სასამართლომ უკანონო წინასწარი პატიმრობის გამოყენებით კიდევ ერთხელ მიიღო მონაწილეობა ადვოკატების ინსტიტუციურ დევნაში, რაც არის მათი საბრალდებო სკამზე დასმის წინაპირობა.

პარლამენტის თავმჯდომარესა და პარლამენტის ადვოკატ წევრებს მივმართე, შეექმნათ პარლამენტში საგამოძიებო კომისია და განეხილათ ადვოკატებისადმი წაყენებული ბრალდება, მაგრამ პარლამენტი დუმს.

როდესაც ჩვენი კოლეგები, პარლამენტის წევრები აღარ იქნებიან, როგორც წინა პარლამენტის წევრები, ისაუბრებენ ქვეყნის არაფორმალურ მმართველობაზე. ჩვენი ქვეყანა კი ასეთი სამარცხვინო პროკურატურისა და სასამართლოს ხელში უფსკრულისკენ მიექანება.

# თბილისში, სუვოროვის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლი დაიწვა




თბილისში, ალექსანდრე სუვოროვის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდა. ადგილობრივების თქმით, ხანძრის დროს სახლში არავინ იმყოფებოდა და არავინ დაშავებულა.

ადგილზე სახანძრო და სამაშველო სამსახურები ცეცხლს დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში აქრობდნენ.

**ნიუპოსტი**

# ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებულ 3 პირს პატიმრობა შეეფარდა



ბათუმში 11-12 მარტს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით 25 მარტს დაკავებულ სამ პირს – მალხაზ ბერიძეს, შალვა ფევაძესა და გოდერძი გორგილაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდეს.

ბათუმის არეულობასთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების ფარგლებში პოლიციამ კიდევ სამი პირი 25 მარტს დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, რომ სამივე მათგანს ბრალად ედება მასობრივი არეულობის მოწყობა, ასევე პოლიციელსა და საჯარო უწყებებზე თავდასხმა.

**ნიუპოსტი**

# ავტოსაგზაო შემთხვევა ბათუმში




ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ბათუმში, რომელსაც 35 წლის ქალი ემსხვერპლა. ავარია ჭავჭავაძისა და ასათიანის ქუჩების კვეთაზე მოხდა. ქალი ბათუმის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში „ნიუპოსტს“ განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რაც სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ნინოწმინდისა და ახალქალაქის ხუთმა მცხოვრებმა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარა




შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტში ნინოწმინდისა და ახალქალაქის ხუთმა მცხოვრებმა სხვადასხვა დასახელების ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით წარმოადგინა და ჩააბარა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

მათივე ცნობით, აღნიშნული პირები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან თავისუფლდებიან.

– სულ ჩაბარებულია: სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 1 530 საბრძოლო ვაზნა, 4 კოჭა ტროტილი, 50 ხელყუმბარა, 2 გადაჭრილი თოფი, 1 პისტოლეტი, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმის 2 ფალია, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 6 მჭიდი, ხელყუმბარის 5 ფალია და 5 საკვამლე კოჭა, – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

**ინტერპრესნიუსი**

# შსს-მ ალმაშენებლის ხეივანში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე მძღოლი დააკავა



შსს-მ 22 მარტს ალმაშენებლის ხეივანში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე მძღოლი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებულის სახით დაკავებულია 1994 წელს დაბადებული თ.ტ.

გამოძიების ფარგლებში ჩატარებული სატრანსპორტო-ტექნიკურ-ტრასოლოგიური, სასამართლო-სამედიცინო და ნარკოლოგიური ექსპერტიზების დასკვნების საფუძველზე დადგინდა, რომ ბმვ-ს მარკის ავტომანქანა, რომელსაც თ.ტ. მართავდა, გადაჭარბებული სიჩქარით, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით მოძრაობდა, როდესაც ის შეეჯახა მის წინ, მისივე თანმხვედრი მიმართულებით მოძრავ ბმვ-ს მარკის ავტომანქანას. შეჯახების შედეგად აღნიშნული ავტომანქანის მძღოლმა, 1992 წელს დაბადებულმა გ.მ.-მ, ვერ დაიმორჩილა საჭე, გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან მარჯვნივ, ქვეითთათვის განკუთვნილ ტროტუარზე, სადაც 2 ქვეითს – 1972 წელს დაბადებულ ნ.ო.-ს და 2008 წელს დაბადებულ მ.ჯ.-ს დაეჯახა.

შეჯახების შედეგად, მცირეწლოვანი მ.ჯ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ნ.ო. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებებით ამ დრომდე სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფება.

საპატრულო პოლიციამ თ.ტ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავა.

გამოძიება მიმდინარეობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც გამოიწვია ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება (საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილებით).

22 მარტს, ალმაშენებლის ხეივანში, 45 წლის ქალს და მის 9 წლის შვილს მანქანა დაეჯახა, რის შედეგადაც გოგონა ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დედა საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისის ცენტრში ახალგაზრდა ქალი გაძარცვეს

თბილისში, თამარ მეფის გამზირზე, ახალგაზრდა ქალი გაძარცვეს. ბოროტმოქმედი მოქალაქეს მაშინ დაესხა თავს, როცა მას ბანკომატიდან ფული გამოჰქონდა.

თავდამსხმელმა ახალგაზრდას 200 ლარი გამოსძალა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძარცვას გულისხმობს.




**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## ბელარუსი: თავისუფლების დღე დარბევებით აღინიშნა



1918 წლის 25 მარტს ბელარუსის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლება დამოუკიდებლობის დღედ 1944 წლის 3 ივლისს მიიჩნევს, როცა საბჭოთა არმიამ ბელარუსიდან ნაცისტი ოკუპანტები განდევნა. 25 მარტიც ოფიციალურად არ აღინიშნება. ამ დღეს ქუჩაში ეროვნულ-დემოკრატიული ძალების მომხრენი გამოდიან. ისინი 25 მარტს თავისუფლების დღეს უწოდებენ.

წლევანდელ თავისუფლების დღეს წინ საპროტესტო აქციები უძღოდა. ხელისუფლებამ ამას დაპატიმრებებითა და დარბევებით უპასუხა. მდგომარეობა დაიძაბა. 25 მარტს მინსკში გრანდიოზული დემონსტრაცია მზადდებოდა. მისი ორგანიზატორი ბელარუსის ნაციონალური კონგრესი იყო.

ლუკაშენკოს რეჟიმიც საამისოდ გულდასმით მოემზადა, ბევრად უკეთესად, ვიდრე საპროტესტო აქციის ორგანიზატორები. მინსკის ცენტრი, ანუ იაკობ კოლასის გამზირი, ომონელებით იყო სავსე.

მიუხედავად ამისა, იაკობ კოლასის პროსპექტზე ხალხი მაინც შეიკრიბა. ხელკეტებითა და ფარებით შეიარაღებულმა ომონმა მათზე იერიში მიიტანა. ხალხს, მათ შორის ქალებსაც, მხეცურად სცემეს. დაკავებულია 1.500 ადამიანი, მათ შორის რადიო „თავისუფლებისა“ და ბელარუსული ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტები.

ომონელები ხალხს ავტობუსებში ყრიდნენ, თან მხეცურად ურტყამდნენ. არაერთმა მანიფესტანტმა ამ დროს ტრავმა მიიღო. ზოგიერთი ტვინის შერყევის დიაგნოზით საავადმყოფოში მოათავსეს. მართალია, შემდგომში დაკავებულთა დიდ ნაწილი გაათავისუფლეს, მაგრამ 200-მდე ადამიანი კვლავაც პატიმრობაში რჩება.

ბელარუსის უშიშროებამ ოპოზიციის ლიდერები, მათ შორის ლებედკა, დაშკევიჩი და ა.შ. დააკავა. მათ წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მასობრივი არეულობის მოწყობის ბრალდებით.

ასე დასრულდა „თავისუფლების დღე“ ბელარუსში. მან კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ამჟამინდელი ბელარუსი თავისუფლებისაგან ძალიან შორსაა.

## ტილერსონი ნატოელ პარტნიორებს შეხვდება



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი 31 მარტს ბრიუსელში ჩავა და ნატოელ პარტნიორებს შეხვდება.

ტილერსონი ამ შეხვედრაზე წასვლას არ აპირებდა, რამაც მისდამი კრიტიკა გაამძაფრა. ნატოსთან კონტაქტების გაფართოებას არა მხოლოდ მაკეინი და მისი მომხრეები, არამედ ტრამპის ადმინისტრაციის გავლენიანი წარმომადგენლებიც მხარს უჭერენ. მათ შორის უნდა გამოვყოთ ვიცეპრეზიდენტი მაიკ პენსი და თავდაცვის მინისტრი ჯეიმს მატისი.

საბოლოოდ ტილერსონმა განაცხადა, რომ ტრამპის ადმინისტრაცია ნატოს გასაძლიერებლად ყველაფერს იღონებს.

## ავღანეთში ალ-ქაიდას ლიდერი მოკლეს



პენტაგონის ცნობით, ავღანეთში ალ-ქაიდას ერთ-ერთი ლიდერი ქარი იასინი ლიკვიდირებულია.

მას ბრალად მშვიდობიანი ავღანელი მოსახლეობისა და ამერიკელი ჯარისკაცების მკვლელობა ედებოდა.

– ქარი იასინის ლიკვიდაცია ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენი ბრძოლა ტერორისტებთან ეფექტურად მიმდინარეობს, – განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა.

## აშშ გიულენის თურქეთისთვის გადაცემას აპირებდა?



ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა დირექტორმა ვულსიმ განაცხადა, რომ აშშ თურქეთთან გიულენის გადაცემის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

– ყველა დეტალი ჩემთვის ცნობილი არაა. გეტყვით მხოლოდ, რომ მოლაპარაკებები არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა, – აცხადებს ვულსი.

მისი ცნობით, აშშ-ის მხრიდან მოლაპარაკებებს ტრამპის ყოფილი მრჩეველი ფლინი წარმართავდა, თურქეთის მხრიდან კი – საგარეო საქმეთა მინისტრი ჩავუშოღლუ.

## ერაყმა მოსულზე შეტევა შეაჩერა



ერაყის მთავრობამ მოსულზე შეტევა დროებით შეაჩერა. მიზეზი მშვიდობიან მოსახლეობაში არსებული უზარმაზარი მსხვერპლია.

ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები ნებისმიერი საშუალებებით ცდილობენ ერაყის არმიის შეტევის შეჩერებას. ისინი მოსახლეობას ცოცხალ ფარად იყენებენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



## ქალმა თასმების გამო ტრამპის რეზიდენციაში ვერ შეაღწია



ალი თეთრი სახლის ღობეზე გადაძვრა და აშშ-ის პრეზიდენტის რეზიდენციის ტერიტორიაზე შეღწევას შეეცადა, მაგრამ ამაში ხელი მისი ჩასაცმელის ერთ-ერთმა ელემენტმა შეუშალა. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

სააგენტოს მონაცემებით, ინციდენტი 21 მარტს გვიან ღამით მოხდა, თუმცა ამის შესახებ მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი. საიდუმლო სამსახურში განაცხადეს, რომ მათმა თანამშრომლებმა უცნობი პირი შენიშნეს, რომელიც ღობეზე გადაძვრა. ის ღობეს თავისი ფეხსაცმლის თასმით გამოედო და ის უკვე ღობის მეორე მხარეს დააკავეს.

გაირკვა, რომ დაკავებულს მარსი ვალი ჰქვია და 38 წლისაა. იგი სასამართლოს წინაშე მეორე დღეს, 22 მარტს წარდგა. ქალი საკუთარ დანაშაულს უარყოფდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ის საქმის მომდევნო განხილვამდე, რომელიც აპრილში შედგება, თავისუფალი იქნება.

## პატარა გოგონამ რომის პაპს თავსაბურავი მოაძრო



რომში პატარა გოგონამ, სახელად შარლიმ, რომის პაპ ფრანცისკს თავიდან პილეოლუსი (პაპის თეთრი პატარა ქუდი) მოაძრო, როდესაც პონტიფიკი მას კოცნიდა და ლოცავდა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ტვიტერში საკუთარ აკაუნტზე ბავშვის ნათლიმამა მაუნტინ ბუტორაკმა გამოაქვეყნა.

– ჩემი ნათლული პაპთან მივიყვანე შეხვედრაზე, მან კი მას ქუდი მოჰპარა, – დაწერა ბუტორაკმა.

როგორც ვიდეოდან ჩანს, მომხდარმა რომის პაპი გააცინა. ვიდეორგოლმა გამოქვეყნებიდან ორ საათში 1,4 ათასი მოწონება მიიღო.

## ჩინელ ავტობუსის მძღოლებს ხელფასი ხურდა ფულით დაურიგეს



ჩინეთის პროვინცია ცზიანსუს ავტობუსების პარკის თანამშრომლებს ხელფასები ერთი იუანის ღირებულების მონეტებით გადაუხადეს.

მრავალი მგზავრი, რომლებიც კომპანიამ თებერვალში გადაიყვანა, ქვეყნის სხვა რეგიონებიდან ჩინური ახალი წლის ზეიმზე იყო ჩამოსული. მათ სამგზავრო აბონემენტები არ ჰქონდათ და ამიტომ მგზავრობის ღირებულებას ხურდა ფულით იხდიდნენ. შედეგად, თვის ბოლოსთვის ავტობუსების პარკის სალაროში ასეულობით ათასი მონეტა დაგროვდა.

კომპანიის ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთი ოდენობით ხურდა ფულის გადათვლა და მისი შემდეგ ბანკში გადატანა მეტისმეტად რთულია და ამიტომ გადაწყვიტეს, თანამშრომლებისთვის ხელფასი ამ მონეტებით აენაზღაურებინათ.

ბევრი მძღოლი უკმაყოფილო დარჩა.

– რა თქმა უნდა, ესეც ფულია, მაგრამ მაღაზიებში ხურდა ფულით სავსე ტომრებით სიარული არცთუ მოსახერხებელია, – განაცხადა ერთ-ერთმა მძღოლმა ჟურნალისტთან საუბარში. მეორე მძღოლის თქმით კი მონეტები არასწორად გაყვეს, ზოგიერთს 300 იუანი ერგო, ზოგს კი – ათასი.

ჩინეთის სახალხო ბანკის ადგილობრივი განყოფილება ავტობუსების პარკს დაუკავშირდა და ალტერნატიული გადაწყვეტილების გამოძებნა შესთავაზა. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, მრავალ კომპანიაში ვერ ხვდებიან, რომ ბანკებს მონეტების დასათვლელი მანქანები აქვთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საქართველო სერბეთთან დამარცხდა, ვაისმა ფეხბურთელები დაგვიწუნა

<u>საქართველო-სერბეთი 1:3</u>

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 კაჭარავა (6), 1:1 ტადიჩი (45პ), 1:2 მიტროვიჩი (64), 1:3 გაჩინოვიჩი (86)

**საქართველო:** ლორია, კაშია, კაკაბაძე (არაბიძე 70), ნავალოვსკი, კვერკველია, კვეკვესკირი, კანკავა, ყაზაიშვილი (ქვილითაია 83), ანანიძე, კაჭარავა, გვილია (ჯიღაური 90)

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, რუკავინა, ივანოვიჩი, მიტროვიჩი (გუდელი 71), ტადიჩი, კოლაროვი, მილიოევიჩი, კოსტიჩი (გაჩინოვიჩი 81), მაქსიმოვიჩი, მატიჩი, ობრადოვიჩი (ვუკოვიჩი 46)

მატჩის შემდეგ ვლადიმირ ვაისმა თქვა – გადახედეთ, სად თამაშობენ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები, აზერბაიჯანი, ბელარუსი, პოლონეთი... და გადახედეთ სერბთა გუნდებსო. ფაქტობრივად, ამით გვითხრა, საქართველოს ნაკრებს არანაირი შანსი არ აქვსო. არადა, ვაისმა მანამდეც იცოდა, თუ სად თამაშობდნენ ჩვენი ფეხბურთელები და შანსებზეც ადრიანად უნდა ეფიქრა. ამასთან, ბატონ ვაისს სრული უფლება აქვს, გადახედოს ბულგარეთის ნაკრებში მოთამაშე ფეხბურთელების გუნდებს, რომლებმაც ჰოლანდიის ნაკრებს 2:0 მოუგეს...

ამასობაში კი ჩვენმა ნაკრებმა 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მორიგი მატჩი წააგო. მიუხედავად საშინაო არენისა და ადრიანი გოლისა, რომელიც ბედნიერი შემთხვევითობის დამსახურება იყო, საქართველოს ნაკრებმა მაინც წააგო. საბოლოო შედეგის პინა კლასმა გადაწონა, რომელიც ჩვენს ნაკრებს არ აღმოაჩნდა. ვერ ვიტყვით იმასაც, რომ ჩვენები პირველ ტაიმში იდგნენ – პირიქით, ყველანაირად ცდილობდნენ თამაშს, მაგრამ დაცვაში პრობლემები მაშინ იჩენდა თავს, როდესაც ბურთი მეტოქეს ჰქონდა. წვრილმანი შეცდომები მეორე ტაიმში „აფეთქდა". ნაკლებად ჩანდა ცალკეულ ფეხბურთელთა კონცენტრაციაც.

პირველმა ტაიმმა მაღალ სიჩქარეზე ჩაიარა. სერბებმა თითქოს ბურთზე კონტროლი დააწესეს, მაგრამ ქართველთა მკაცრი პრესინგის შემდეგ გამოცდილი კოლაროვი შეცდა და კაჭარავა პირისპირ შეატოვა საკუთარ მეკარეს. ნიკამ პირველი სანაკრებო გოლი მიითვალა.



გოლით და ტრიბუნებით შეგულიანებული ქართველები მცირე შესაძლებლობისთანავე ცდილობდნენ მეტოქის კარის გასაღების მოძებნას და რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდა. მათგან ერთი სასიკვდილო აღმოჩნდა, ოღონდ ჩვენი ნაკრებისთვის: კაჭარავამ ბურთი მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეს მიიღო, ერთ სერბ ფეხბურთელს გასცდა და ვაკო ყაზაიშვილს ისეთი პასი გაუკეთა, რომ ლეგიას შემტევი სტოიკოვიჩთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა. არადა, ყაზაიშვილს პასის გაკეთება შეეძლო ცარიელ კართან მდგომი ჯანო ანანიძის მისამართით, მაგრამ... ეს მომენტი გადამწყვეტი აღმოჩნდა. ორამდე გაზრდის შემთხვევაში სერბეთს ძალიან გაუჭირდებოდათ თამაშის შემოტრიალება.

45-ე წუთზე სერბეთის ნაკრების შეტევისას დაცვა პოზიციურად ჩავარდა და კაკაბაძემ საკუთარ საჯარიმოში კოსტიჩი წესების დარღვევით წააქცია, თერთმეტი მეტრიდან ტადიჩმა უნაკლოდ დაარტყა – 1:1.

მეორე ტაიმში ტემპი დაეცა და გუნდები უფრო პოზიციურ შეტევებს ამზადებდნენ. ქართველები ბურთის კონტროლს ცდილობდნენ, რასაც კარისკენ ჯანო ანანიძისა და ჯაბა კანკავას შორეული დარტყმები მოჰყვა. ორივე შემთხვევაში სერბეთის მეკარემ შეძლო ბურთის მოგერიება.

სერბები უფრო მშვიდად იდგნენ და ქართველთა შეცდომას ელოდნენ და შედეგის მიიღეს: 64-ე წუთზე ვაკო გვილიამ საკუთარ ნახევარზე დაკარგა ბურთი, ტადიჩის საგოლე პასის შემდეგ კი მიტროვიჩმა თანაგუნდელები დააწინაურა – 1:2.

მატჩის საბოლოო ანგარიში 86-ე წუთზე ცვლილებაზე გამოსულმა გაჩინოვიჩმა დააფიქსირა, რომელსაც საგოლე პასი ტადიჩმა გაუკეთა. აღსანიშნავია, რომ ტადიჩმა გოლის გარდა 2 საგოლე გადაცემა შეასრულა.

**ვლადიმირ ვაისი:**

– სამწუხაროდ, ისტორია მეორდება. ინდივიდუალურ შეცდომებს ვუშვებთ და ხელსაყრელ მომენტებს ვერ ვიყენებთ. ყაზაიშვილს ანანიძისთვის პასი რომ მიეცა და გაგვეტანა, სულ სხვა თამაში იქნებოდა... მეორე ტაიმში სერბებმა ყველაფერი გააკეთეს. მათ სამი დარტყმიდან სამივე გაიტანეს. რამდენიმე ფეხბურთელმა ის თამაში ვერ აჩვენა, როგორიც შეუძლია. ვიტყოდი, რომ შესაძლებლობები ექვსმა ფეხბურთელმა გამოავლინა, ოთხმა – ვერა. ასე მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა რთულია.

**სლავოლუბ მუსლინი:**

– საქართველოს ნაკრები საკმაოდ კარგი გუნდია და მისი თამაში მომწონს. აზრი არც დღეს შემიცვლია. მასპინძლებმა პირველ ტაიმში ყველა ასპექტში გვაჯობეს. როცა ანგარიში 1:0 იყო, ქართველებმა ბევრი შანსი ვერ გამოიყენეს. გარდამტეხი მომენტი პირველი ტაიმის მიწურული იყო, როცა ანგარიში გავათანაბრეთ... მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებს აღარაფერი შეუქმნია.

დ ჯგუფის მეხუთე ტურში ავსტრიამ საკუთარ მოედანზე მოლოდინისამებრ 2:0 სძლია მოლდოვას, ხოლო ირლანდიისა და უელსის დაპირისპირება უგოლოდ დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ დუბლინურ შეხვედრაში არბიტრმა 69-ე წუთზე უელსის ნაკრების მოთამაშე ნილ ტეილორი მოედნიდან გააძევა, თუმცა საბოლოოდ კრის კოულმენის გუნდმა სტუმრად ქულის მოპოვება მოახერხა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სერბეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-6 | 11 |
| 2.ირლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| 3.უელსი | 5 | 1 | 4 | 0 | 8-4 | 7 |
| 4.ავსტრია | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 5.საქართველო | 5 | 0 | 2 | 3 | 4-8 | 2 |
| 6.მოლდოვა | 5 | 0 | 1 | 4 | 2-13 | 1 |

# პლეი ოფის მეოთხე საგზურისთვის ბრძოლა დაიძაბა

<u>დინამო-ბათუმი 95-64</u>

**(24:14, 23:17, 26:14, 22:19)**

სუპერლიგის ლიდერმა ბათუმს უმასპინძლა და პრობლემების გარეშე – 95:64 დაამარცხა.

ბათუმელებმა საბოლოოდ დაკარგეს ამერიკელი ლეგიონერი კრის ფელჩერი, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და საოპერაციოდ სამშობლოში გაემგზავრა. შესაბამისად, ბათუმელთა პოტენციალი მნიშვნელოვნად შემცირდა. ბათუმელებმა გუშინდელ მატჩში წინააღმდეგობა, ფაქტობრივად, ვერ გაუწიეს დინამოს და დიდი სხვაობით დამარცხდნენ.

პირველი პერიოდი დინამოელებმა 24:14 მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის თბილისელები უკვე 15 ქულით იგებდნენ. მატჩის ბედი მესამე პერიოდის ბოლოს გაირკვა, რომელიც დინამოელებმა 26:14 მოიგეს და ბოლო მეოთხედს 27-ქულიანი ლიდერობით შეხვდნენ.

გამარჯვებულთა შორის 21 ქულით ბომბარდირი გახდა მიხეილ ჭოჭუა. 15 ქულა დააგროვა ლევან გრძელიძემ, მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე კი 10 ქულა, 8 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა. ბათუმში 15 ქულით საუკეთესო იყო იგორ კრივცოვი, 14 ქულა მიითვალა ილია შემოსიუკმა.



<u>სოხუმი-ქუთაისი 65-81</u>

**(14:16, 21:21, 13:24, 17:20)**

სატურნირო თვალსაზრისით ქუთაისელებისთვის ამ მატჩის შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა, სოხუმელთათვის კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან პლეი ოფში გასასვლელი მეოთხე ადგილი ჯერაც ვაკანტურია და მისთის ყველა ის გუნდი იბრძვის, რომელიც სამეულში არ არის.

მიუხედავად ამისა, ქუთაისელებმა არაფერი დათმეს და სოხუმს მარცხი აგემეს. პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, დიდი შესვენების შემდეგ კი იმერული კლუბის წევრები შედეგიანად ათამაშდნენ და ისე მივიდნენ გამარჯვებამდე, მატჩი არც დაძაბულა.

საბოლოოდ ქუთაისმა 16 ქულით – 81:65 მოიგო და სეზონის მე-17 გამარჯვება მოიპოვა. იმერულ კლუბს გიორგი ცინცაძემ 20 ქულით ულიდერა. 17 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა ბექა ბექაურმა. აკაკი ლომოურისა და გოგა ცეკვავას ანგარიშზე 11-11 ქულა დაგროვდა. სოხუმში 16 ქულით ბომბარდირი გახდა ალექსანდრ ტიშჩენტო. 15 ქულა დაგროვდა დავით ბარბაქაძის ანგარიშზე.

<u>ოლიმპი-რუსთავი 85-77</u>

**(22:21, 24:17, 23:22, 16:17)**

ქვემოქართლურ გუნდს მე-3 ადგილი და, შესაბამისად, პლეი ოფის საგზური განაღდებული აქვს, ხოლო ოლიმპი აუტსაიდერთა შორისაა და სუპერლიგაში დარჩენისათვის იბრძვის. აქედან გამომდინარე, უფრო მეტი მოტივაცია ოლიმპიელებს ჰქონდათ, რომლებმაც მოახერხეს კიდევაც გამარჯვება – 85:77.

ორივე გუნდს ტრავმის გამო ძირითადი გამთამაშებლები აკლდა, ოლიმპს – მიქელაძე, ხოლო რუსთავმა ამერიკელი ლეგიონერი ჩარლი ლი მოისაკლისა. პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, ხოლო დიდი შესვენების შემდეგ თბილისელთა უპირატესობა გამოიკვეთა და გადამწყვეტი მეოთხედის წინ დაწინაურდა. ბოლო პერიოდში თბილისელთა ლიდერობამ 15 ქულას მიაღწია, რის შემდეგაც რუსთაველებმა ვეღარ მოახერხეს თამაშის სათავისოდ შემობრუნება.

გამარჯვებულ გუნდს 23 ქულით ულიდერა რევაზ როგავამ, ხოლო დამარცხებულებს – სერგო ათუაშვილმა. მან პირად ანგარიშზე 23 ქულა და 10 მოხსნა ჩაიწერა.

<u>მგზავრები-კაქტუსი 69-82</u>

**(14:20, 21:24, 20:22, 14:16)**

ტურის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული დაპირისპირება ეს შეხვედრა გახლდათ. ბოლო ადგილზე მყოფი მგზავრებისთვის თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ისევე, როგორც კაქტუსისთვის, რომელიც პლეი ოფში გასასვლელად იბრძვის, თუმცა, წარუმატებლობის შემთხვევაში, არც სუპერლიგის დატოვებაა გამორიცხული.

მატჩი დაძაბული გამოდგა, მაგრამ მისი ფინალური წუთები საინტერესო არ აღმოჩნდა. კაქტუსმა ჩინებულად ჩაატარა შეხვედრის ბოლო მეორე ნახევარი, უფრო კი დასკვნითი პერიოდი და უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას დაეპატრონა. კაქტუსმა მოიგო ყველა პერიოდი მცირე უპირატესობით, რამაც მთლიანობაში 13 ქულა შეადგინა – 82:69.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა ჯონ ფროვიესი, რომელმაც 31 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა. 16 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა კერიკ ბრიჯმენმა, ხოლო ირაკლი ჩლაიძის ანგარიშზე 16 ქულა და 5 მოხსნა დაგროვდა. მგზავრებში 14 ქულით ბომბარდირი გახდა ავთანდილ ლომინაშვილი, 13 ქულითა და 10 მოხსნით ორმაგი დუბლის ავტორი გახდა კორი ალენი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 23 | 22 | 1 | 2038-1650 | 45 |
| 2.ქუთაისი | 23 | 17 | 6 | 1853-1725 | 40 |
| 3.რუსთავი | 23 | 13 | 10 | 1826-1820 | 36 |
| 4.კაქტუსი | 23 | 9 | 14 | 1804-1954 | 32 |
| 5.სოხუმი | 23 | 9 | 14 | 1876-1950 | 32 |
| 6.ბათუმი | 23 | 8 | 15 | 1742-1851 | 31 |
| 7.ოლიმპი | 23 | 8 | 15 | 1670-1719 | 30 |
| 8.მგზავრები | 23 | 6 | 17 | 1702-1842 | 29 |

**შენიშვნა: ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა**

# შედეგები

## 25 მარტი

<u>ფეხბურთი</u>

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა**

ანდორა-ფარერები ........................ 0:0
ბოსნია-გიბრალტარი ..................... 5:0
კვიპროსი-ესტონეთი ..................... 0:0
შვეიცარია-ლატვია ...................... 1:0
შვედეთი-ბელარუსი ...................... 4:0
ბელგია-საბერძნეთი ..................... 1:1
ბულგარეთი-ჰოლანდია .................... 2:0
ლუქსემბურგი-საფრანგეთი ............ 1:3
პორტუგალია-უნგრეთი .................. 3:0

**კონკაკაფი**

ტრინიდადი-პანამა ........................ 1:0
მექსიკა-კოსტა რიკა ..................... 2:0
აშშ-ჰონდურასი ........................... 6:0

**ოკეანეთი**

ფიჯი-ახ.ზელანდია ........................ 0:2

**ეჩ-2019. შესარჩევი ეტაპი (21)**

ირლანდია-კოსოვო ........................ 1:0

**ამხანაგური მატჩები (21)**

საქართველო-ისლანდია ................ 4:4
ალბანეთი-მოლდოვა ..................... 0:0
ლიტვა-ბელარუსი ......................... 1:2

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-ხიმნასტიკი ........... 1:2
ალმერია-ალკორკონი .................... 3:1
ნუმანსია-რაიო ............................ 0:0
მალიორკა-ლევანტე ...................... 1:1
ოვიედო-ხირონა .......................... 2:0

**იტალია. სერია ბ**

ჩიტადელა-სპეცია ........................ 1:0
ბენევენტო-ტრაპანი ..................... 1:3

# მოგების შემდეგ ახალგაზრდული ნაკრები ისლანდიას დაუზავდა

<u>საქართველო-ისლანდია 4:4</u>

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1 რაგნარსონი (15) 1:1 ზარანდია (17) 1:2 რაგნარსონი (20) 2:2 ბიძინაშვილი (29) 2:3 სამსტედი (51) 2:4 ანდერსონი (68) 3:4 იმნაძე (87) 4:4 ზარია (90)

**საქართველო:** კუპატაძე, ახალაძე (ართმელაძე 72), მარგველაშვილი (გიორგაძე 72), ჭიჭინაძე, ხარაიშვილი (მაჭარაშვილი 68), ზარანდია (კიკნაძე 68), ბერიძე (მიქელთაძე 61), შულაია (ჩაჩუა 72) , ბიძინაშვილი (ალთუნაშვილი 61) , მამუჩაშვილი (ზარია 61), ჭანტურია (იმნაძე 61)

**ისლანდია:** ბლაენგსსონი, სამსტედი (ჰ.ი.გუნარსონი 66), ჰ.ვ.გუდმუნდსონი (სტეფანსონი 76), ანდერსონი (ლეიფსონი 76), სიგურგეირსონი (კონრადსონი 76), ეინარსონი (მაგნუსსონი 46), ა.გუდმუნდსონი, ი.დ.ტორსტეინსონი (ინგასონი 66), კრისტინსონი, იონასსონი (გ.ს.გუნარსონი 66), რაგნარსონი (ს.ტორსტეინსონი 76)

ამ პირველი ამხანაგური შეხვედრა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს 21 წლამდე ნაკრების გამარჯვებით 3:1 დასრულდა, ამჯერად კი გუნდები ფრეს დასჯერდნენ.



ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ისლანდიელები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში იგებდნენ. ერთხელ 2 ბურთითაც დაწინაურდნენ, მაგრამ გია გეგუჩაძის შეგირდებმა ბოლომდე იბრძოლეს და მეტოქეს გამარჯვება არ დაანებეს.

ანგარიში მე-15 წუთზე რაგნარსონმა გაიხსნა, თუმცა ჩვენმა გუნდმა წონასწორობის აღდგენა მალევე მოახერხა. ორიოდე წუთში კი, ლუკა ზარანდიამ შორეული დარტყმით შესანიშნავი გოლი გაიტანა.

სტუმრები მეორედაც რაგნარსონმა გაიყვანა წინ, შემტევმა დუბლი მე-20 წუთზე გაიფორმა. გია გეგუჩაძის გუნდმა გათანაბრება 29-ე წუთზე მოახერხა და თუ ზარანდიას გოლი ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გავიდა, ამჯერად ჩვენებმა ჩინებული კომბინაცია გაითამაშეს – ახალაძემ საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, სადაც ჭანტურიამ მიიღო და ქუსლით ჩინებული პასი მისცა ბიძინაშვილს – 2:2.

მე-2 ტაიმი სტუმართა უპირატესობით დაიწყო, მატჩის 51-ე და 68-ე წუთებზე სამსტედისა და ანდრესონის გოლებით ისლანდიამ ორბურთიანი უპირატესობა მოიპოვა. თუმცა ჩვენმა გუნდმა თამაშში დაბრუნება მოახერხა და მატჩის მიწურულს ანგარიშიც გაათანაბრა.

87-ე წუთზე ლუკა იმნაძემ გაიტანა, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე კი მეტოქის კარი უძლიერესი დარტყმით გიორგი ზარიამ აიღო.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა გავლენას ახდენს ქალის ასაკი რეპროდუქციულ ფუნქციაზე

ეკა ირემაშვილი


ლუდა ბარბაქაძე

ბავშვის ყოლა ქალს ყველა ასაკში სურს, თუმცა, დაორსულების სურვილის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ქალბატონების ასაკი.

XXI საუკუნეში უშვილობა განაჩენი არ არის, თუმცა, როგორც მედიკოსები გვაფრთხილებენ, სანამ წყვილი ამ პრობლემას შეეჯახება, უმჯობესია, მათ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები გაითვალისწინონ.

რა გავლენას ახდენს ქალის ასაკი რეპროდუქციულ ფუნქციაზე, როდის მცირდება კვერცხუჯრედების რაოდენობა და როდის უნდა მიმართოს ქალმა ინ ვიტრო განაყოფიერებას? – ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის რეპროდუქტოლოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, მეან-გინეკოლოგი ლუდა ბარბაქაძე საუბრობს.

**ლუდა ბარბაქაძე:**

– ხშირად გვეკითხებიან, აქვს თუ არა ქალის ასაკს გავლენა რეპროდუქციულ ფუნქციაზე? დიახ, ნამდვილად აქვს. საქმე ის არის, რომ ქალის ორგანიზმში მუდმივად მიმდინარეობს კვერცხუჯრედების გახარჯვის პროცესი. ეს იმას ნიშნავს, რომ ასაკის მატებასთან ერთად მცირდება ქალის დაორსულების ალბათობაც.

***– რა ასაკია დაორსულებისთვის ყველაზე ოპტიმალური?***

– დაორსულების ყველაზე ოპტიმალური პერიოდია 20-დან 27-წლამდე. 30 წლის ასაკიდან დაორსულების ალბათობა თანდათან მცირდება. 37 წლის ასაკიდან აღინიშნება მკვეთრი შემცირება, ხოლო 40 წლიდან მკვეთრად მატულობს უნაყოფობის სიხშირე.

***– რა არის ამის მიზეზი?***

– ასაკის მატებასთან ერთად, მცირდება კვერცხუჯრედების რაოდენობა და უარესდება მათი ხარისხი, რაც, თავის მხრივ, გამოიხატება უნაყოფობითა და ორსულობის შეწყვეტის მაღალი ალბათობით. მატულობს გინეკოლოგიური და არაგინეკოლოგიური პათოლოგიების რიცხვი, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ორსულობაზე, ასევე მცირდება ოვულაციის სიხშირე, მისი სრულფასოვნება და სექსუალური ფუნქცია. გამომდინარე აქედან, თუ ქალი გადაავადებს შვილის გაჩენას, იგი, შესაძლოა, უნაყოფობის პრობლემის წინაშე დადგეს.

***– ბოლო პერიოდში გაიზარდა ინ ვიტრო განაყოფიერების მსურველთა საშუალო ასაკი. ეს რისი ბრალია?***

– ბოლო წლებში ნამდვილად მკვეთრად გაიზარდა ინ ვიტრო განაყოფიერების მსურველთა საშუალო ასაკი, რაც ასახავს ასაკით განპირობებული უნაყოფობის მატებას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ 40 წლის შემდეგ ქალებში ინ ვიტრო განაყოფიერების ეფექტურობა საკუთარი კვერცხუჯრედების გამოყენებით კვლავ დაბალი რჩება.

***– იმისთვის, რომ ქალმა თავი აარიდოს სხვადასხვა გართულებას, რას ურჩევდით მათ?***

– ქალებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ შემდეგი: ბიოლოგიური ასპექტებიდან გამომდინარე, ორსულობის დაგეგმვა უმჯობესია 35 წლამდე.

თუ 35 წლის ზემოთ ქალი არ ორსულდება 6 თვის განმავლობაში, მან დროულად უნდა მიმართოს რეპროდუქტოლოგს და ჩაიტაროს შესაბამისი გამოკვლევები.

თუ ქალი დაგეგმავს ორსულობას 40 წლის შემდეგ, მან დაუყოვნებლივ უნდა ჩაიტაროს გამოკვლევები და შესაბამისი მკურნალობა.

სპორტი

# 17 წლამდე ნაკრებმა რუსეთი დაამარცხა



საქართველო-რუსეთი 1:0

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 არდაზიშვილი (28)

**საქართველო:** ჩოჩიშვილი, ბურჯანაძე, ლოჩოშვილი, ლაკვეხელიანი (კახიძე 81), სალრიშვილი (ჩოგაძე 61), არდაზიშვილი (კვანტალიანი 61), კოხრეიძე (ქავთარაძე 88), ჩაკვეტაძე (ფოჩხუა 81), სამურკასოვი, კუცია, მალი (ნინუა 61)

**რუსეთი:** ლომაევი (ბოგატიევი 69), ლაპშოვი (ევგენიევი 69), გოლუბევი, ბოროდინი, დ.უტკინი (პოლიკოვი 69), იგნატიევი (რუდენკო 60), გრულევი (ციპჩენკო 60), გლუშენკოვი, ვებერი (გორშკოვი 46), პოიატკოვი (სულეიმანოვი 46), ს.უტკინი (გ.უტკინი 84)

საქართველოს 19 წლამდე ნაკრებმა ევრო 2017-ის მზადების პროცესში მორიგი ამხანაგური შეხვედრა გამართა.

გიორგი ყიფიანის გუნდი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე რუსეთის 19 წლამდე ნაკრებს დაუპირისპირდა.

შეხვედრა ქართველი ფეხბურთელების სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 1:0 დასრულდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი 28-ე წუთზე გავიდა, კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ მეტოქე გუნდის მცველებმა ბურთი გამოტანა შეძლეს, თუმცა ყველას დავით სამურკასოვმა დაასწრო, საჯარიმოში ჩააბრუნა, იქ კი გაბრიელ სალრიშვილმა მიიღო ბურთი და ტექნიკურად, ქუსლით გადაუგდო რატი არდაზიშვილს, მეკარესთან პირისპირ დარჩენილ შემტევს კი გატანა აღარ გასჭირვებია.

გუნდებს შორის მომდევნო ამხანაგური შეხვედრა დღეს კვლავ მიხეილ მესხის სათადარიგო მოედანზე გაიმართება და 16:00 საათზე დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# კროსვორდი



1. საბრილიანტე ქვა; 2. მცირე სიმძლავრის გადასატანი რადიოსადგური; 3. ყვავილი; 4. ... უანდერი; 5. ქალაქი იაპონიაში; 6. ქათმების ოჯახის გარეული ფრინველი; 7. ბავშვთა ექიმი; 8. ათჯერ მეტის აღმნიშვნელი წინსართი; 9. იგივეა, რაც მუხუდო; 10. ... ელიავა; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი ფიგურის შეწირვით; 12. გამომწვარი კირქვა; 13. ... რობსონი; 14. თბილი ქვეყნების მცენარე; 15. ბერძნული ანბანის ასო; 16. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა; 17. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 18. იაპონიის იმპერატორების ტიტული; 19. იუდეველთა ღმერთის იაჰვეს ეპითეტი; 20. პროტესტანტების მღვდელი; 21. ნუსხა; 22. ხელების მიშველება ლაპარაკის დროს; 23. წინასწარმეტყველი ქალი ძველ საბერძნეთსა და რომში; 24. შტატი აშშ-ში; 25. მოხეტიალე მლოცველი; 26. რამდენიმე შემსრულებლისგან შემდგარი მუსიკალური კოლექტივი; 27. სახლის სახურავი მასალა; 28. საერთო ევროპული ვალუტა; 29. იაპონური თეატრის სახეობა; 30. სამუელ ... (ფეხბურთელი); 31. კლავიშებიანი საკრავი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შოვი; 2. ერი; 3. კარაბინი; 4. ჯო; 5. გლიპტიკა; 6. ქაჯი; 7. წირქოლი; 10. გენი; 11. მონუმენტი; 12. ტანგენსი; 13. ყოჩი; 16. „ვიტესი“; 18. ბოიკოტი; 19. შტორმი; 21. „სტელა“; 24. ტუნგი.

**თარაზულად:** 1. შევროლე; 3. კოტეჯი; 8. ალმასი; 9. ვაგა; 14. გნომა; 15. ბოგოტა; 17. ნომი; 20. ნამუსი; 22. კროლი; 23. ტრესტი; 25. სკა; 26. ერბო; 27. „იკაო“; 28. ნოსტალგია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ტიფანი“; 2. ლონდრე; 3. რანდი; 5. ბობი; 6. ჩინური; 8. პიარნუ; 11. პეტრიწონი; 13. სუარესი; 14. კაზუარი; 15. ჩარხილი; 19. „გოია“.

**თარაზულად:** 1. ტრაფალგარი; 4. დამბაჩა; 7. ფორმანი; 9. დარიალი; 10. ოპერა; 12. აერობუსი; 16. ფუფუნება; 17. ვარიანი; 18. ცუგცვანგი; 20. ნექტარი; 21. ხიდი; 22. მირზაანი.

კალეიდოსკოპი

## ჩინელმა გეიმერმა მონიტორი თავით გატეხა

ჩინელმა გეიმერმა კომპიუტერის მონიტორი თავით მას შემდეგ დაამტვრია, როდესაც კომპიუტერულ თამაშში დამარცხდა, რომელშიც ერთდროულად რამდენიმე ინტერნეტმომხმარებელი მონაწილეობს.

ინციდენტი პროვინცია განისუს ქალაქ ლანჩჟოუში მოხდა. ერთ-ერთი ინტერნეტკაფეს სტუმარს აღიზიანებდა შეცდომები, რომლებსაც მისი გუნდის წევრები უშვებდნენ. მორიგი წარუმატებლობის შემდეგ მან მონიტორს თავი სთხლიშა და ეკრანი დალეწა.



თავით ძლიერი დარტყმისგან მონიტორი უსარგებლო გახდა, ხოლო თავად გეიმერმა თავის ტრავმა მიიღო. ინტერნეტკაფეს თანამშრომლებმა თავდასისხლიანებულ ახალგაზრდას დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა სხვა კლიენტებს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და თამაში გააგრძელეს.

ამ ინციდენტის ამსახველი ფოტოსურათი ერთ-ერთ პოპულარულ ჩინურ ვებგვერდზე იქნა განთავსებული და მან ათეულობით ათასი კომენტარი მიიღო.

## ბრიტანეთში დაკარგულ ჩიხუახუას დრონის დახმარებით მიაგნეს

ბრიტანეთის ქალაქ აბერტილერის (სამხრეთ უელსი) მახლობლად დაკარგული ჩიხუახუას ჯიშის ძაღლის მოსაძებნად დრონი იქნა გამოყენებული, რომელმაც ცხოველი მისი დაკარგვიდან მეხუთე დღეს აღმოაჩინა.



უპილოტო საფრენმა აპარატმა ძაღლი, სახელად ჩერი, ძებნაში ჩართვიდან 20 წუთში ერთ-ერთ ძველ სამთო გვირაბში გაჭედილი აღმოაჩინა. აღსანიშნავია, რომ დრონმა ძაღლის ადგილმდებარეობა სითბური კამერის დახმარებით დაადგინა.

ჩიხუახუას 27 წლის პატრონმა კატინკა სლინგსბიმ დრონის მუშაობის ასანაზღაურებლად თანხის შეგროვება დაიწყო. მან ამ მიზნისთვის 1,2 ათასი ფუნტი სტერლინგის შეგროვება შეძლო, მაგრამ საჭირო მოწყობილობა ერთ-ერთმა ადგილობრივმა ფირმამ უსასყიდლოდ გადასცა. გოგონამ გადაწყვიტა, თანხა მათთვის დაებრუნებინა, ვინ შემოწირულობა გაიღო, ხოლო უარის შემთხვევაში მას ქველმოქმედებას მოახმარს.

## გიგანტურმა ზვიგენმა ახალზელანდიელი მეთევზე შეაშინა

ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდის მცხოვრებმა შონ მაკორმაკმა ვიდეოზე გადაიღო დიდი თეთრი ზვიგენი, რომელიც მის ნავს გარს უვლიდა.



მაკორმაკი ზღვაში თევზაობდა და უკვე ნაპირზე დაბრუნებას აპირებდა, როდესაც მტაცებელი თევზი შენიშნა. როგორც ჩანს, ის იმ სატყუარათი დაინტერესდა, რომელსაც ახალზელანდიელი თევზის საჭერად იყენებდა.

ზომით თეთრი ზვიგენი მაკორმაკის ნავის შესაბამისი იყო, რომლის სიგრძე 3,6 მეტრს შეადგენს.

– სკოლის მოსწავლესავით ვკანკალებდი, – აღიარა მამაკაცმა. ის შეეცადა, ანკესის სინი ზღვიდან ამოეღო, მაგრამ ზვიგენმა ის გადაკვნიტა.

შეგახსენებთ, რომ თეთრი ზვიგენი ერთ-ერთი უდიდესი მტაცებელი თევზია დედამიწაზე. საშუალოდ ისინი სიგრძეში 4,6-4,8 მეტრს აღწევენ, მაგრამ ასევე გვხვდებიან ისეთებიც, რომელთა სიგრძე 6 მეტრია. თეთრი ზვიგენი ადამიანისთვის ყველაზე სახიფათო სახეობისად ითვლება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ასტროპროგნოზი

## 27 მარტისათვის



**ვერძი** – ქალებისათვის რთული დღეა, თუმცა, გონივრული მოქმედების შემთხვევაში, ყველა დაბრკოლებას გადალახავთ და თავს უკეთესად იგრძნობთ. **კურო** – სასიამოვნო ცვლილებები არ დააყოვნებს. ყველაფერი თქვენს შრომისმოყვარეობასა და მიზანდასახულობაზეა დამოკიდებული. **ტყუპები** – ოჯახის წევრებს თქვენი ყურადღება აშკარად აკლიათ. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. **კირჩხიბი** – გეგმები ძირფესვიანად გეცვლებათ. საყიდლებზე წასვლა დიდ კმაყოფილებას მოგგვრით. **ლომი** – სამსახურში შეცდომას უშვებთ. ეცადეთ, სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზოთ და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედოთ. **ქალწული** – ყურადღებას ნუ მოადუნებთ, განსაკუთრებით – საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. ბედი გწყალობთ. **სასწორი** – ხელმძღვანელი პირები საკუთარ ავტორიტეტს გაუფრთხილდით. ემოციები მოთოკეთ. **ღრიანკალი** – საბოლოო გადაწყვეტილებას ნაჩქარევად ნუ მიიღებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – მომხიბვლელობა და კომუნიკაბელურობა საქმეების მოგვარებაში დაგეხმარებათ. ნუ გადაიღლებით. **თხის რქა** – ნუ იქნებით პრეტენზიული. ბედს მიენდეთ. გაითვალისწინეთ პარტნიორის ინტერესები. **მერწყული** – საქმის მოგვარებას ფინანსური სირთულეები მოჰყვება. მოსალოდნელია უთანხმოება ოჯახის წევრებთან. **თევზები** – იაქტიურეთ. პლანეტები გმფარველობენ. ნებისმიერ სფეროში სასიამოვნო ცვლილებები გელით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## 60 წლის ბრიტანელმა ჭოკზე ცეკვის გამო სამსახური მიატოვა

ბრიტანეთის ქალაქ ბრაიტონის მცხოვრებმა ქალბატონმა თავისი სამსახური იმისთვის მიატოვა, რომ პროფესიონალურ დონეზე იცეკვოს ჭოკზე და სხვებსაც ჩაუტაროს გაკვეთილები.

სიუზი კემპბელი პირველად ამ სახეობით 2015 წელს დაინტერესდა, როდესაც თავის მეუღლესთან და ორ ქალიშვილთან ერთად ტაილანდში დასვენების დროს ჭოკზე მოცეკვავეები ნახა. სახლში დაბრუნების შემდეგ მან ვარჯიშებზე დაიწყო სიარული და გადაწყვიტა, საფრანგეთში საკუთარი კურსები გაეხსნა. ამგვარად მან გადაწყვიტა, თავი დაენებებინა ბიზნესკონსულტანტის სამსახურისთვის და ახალი საქმიანობისთვის გარშემომყოფნიც ეზიარებინა.



ადრე კემპბელი ველოსპორტით, ბატუტზე ხტომით, ნეტბოლით იყო დაკავებული თავის გოგონებთან ერთად, მაგრამ ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც იძულებული გახდა, ვარჯიშებისთვის თავი დაენებებინა. ბრიტანელი ქალბატონისთვის ჭოკით ცეკვებში ვარჯიშები მის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის.

– მას შემდეგ, რაც ჭოკზე ცეკვებით ვარ დაკავებული, თავს გაცილებით ჯანმრთელად ვგრძნობ, – განაცხადა კემპბელმა.

## ინდოელმა თუთიყუშებმა ოპიუმის ყაყაჩოს მოსავლის ნაწილი შეჭამეს

თუთიყუშებმა ინდური ოპიუმის ყაყაჩოს მოსავლის 10 პროცენტი გაანადგურეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.



ფრინველები ელოდებიან, ვიდრე ფერმერები ყაყაჩოს თავს ნაჭდევს გაუკეთებენ, რის შემდეგაც უხმაუროდ პიკირებენ მცენარის თავზე და ნაყოფიდან გამოსულ წვენს კენკავენ. დანაყრებული თუთიყუშები რამდენიმე საათით იძინებენ. ასეთ მდგომარეობაში მყოფები, შესაძლოა, ხიდან ჩამოცვივდნენ ან მტაცებლის იოლ ნანადირევად იქცნენ.

ინდოეთის რაჯასტანის შტატის ფერმერები არაერთი წელია, ებრძვიან ამ პრობლემას. ბოლო დროს კი თუთიყუშების ოპიუმის ყაყაჩოთი გატაცება უკვე ინდოეთის სხვა შტატებშიც შეინიშნება.

– ჩვეულებრივ, თუთიყუშები მეტისმეტად ხმაურობენ, როდესაც გუნდებად იკრიბებიან, მაგრამ ეს ფრინველები მეტად გაეშმაკდნენ და უხმოდ დაფრინავენ მინდვრის თავზე, – განაცხადა ფერმერმა სობხარამა რატოდმა მადხია-პრადეშის შტატიდან, – ჩვენ ვცდილობდით ისინი ყველა ხერხით მოგვეცილებინა მოსავლისთვის, მაგრამ ეს განარკომანებული ფრინველები სიცოცხლის რისკის ფასად ყოველთვის უკან ბრუნდებიან.

ინდოეთში ოპიუმის ყაყაჩო წამლის დასამზადებლად მოჰყავთ. სახელმწიფოს მიერ ოპიუმის წარმოება უმკაცრესად კონტროლდება.

## ესპანელი ქალბატონი თავის პითონს ლეკვებითა და კნუტებით კვებავდა

ესპანეთის პოლიციამ გრანადას პროვინციის ქალაქ ლოხას მცხოვრები ქალბატონის მიმართ გამოძიება დაიწყო, რომელიც თავის პითონს ცოცხალი ლეკვებითა და კნუტებით კვებავდა.



ქალმა ინტერნეტში განათავსა განცხადება სამეფო პითონის გაყიდვის თაობაზე. აღნიშნული განცხადება ცხოველთა თავშესაფრის თანამშრომელმა ნახა, რომელიც დააინტერესა ფოტოსურათმა, რომელზეც პითონი ლეკვს გუდავდა.

მან განცხადებისთვის თანდართულ ტელეფონის ნომერზე დარეკა და თავი პოტენციურ მყიდველად წარადგინა. პითონის პატრონმა განუცხადა, რომ ის გველს რეგულარულად კვებავს ცოცხალი კნუტებით, ლეკვებითა და ჩიტებით.

ცხოველთა თავშესაფრის თანამშრომელმა ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობა ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის ცხოველთა დაცვის განყოფილებას. პითონის პატრონთან მიმართებით დაწყებულია გამოძიება. ქალი ცხოველების მიმართ სასტიკ მოპყრობაშია ეჭვმიტანილი.

ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამგვარი დანაშაულისთვის სამი თვიდან ერთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

რძალი ნანა ლომინაძე, შვილიშვილები ანი, გიგი, დავითი ოჯახებით, შვილთაშვილები თეკლა, ნუციკო იუწყებიან

**ნელი მენთეშაშვილი-გიგინეიშვილის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 26, 27 მარტს;
დაკრძალვა: 28 მარტს, 14 საათზე;
მისამართი: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, VII კვარტალი, V კორპუსი.

და ლულუ, სიძე მიშა ქავთარია, დისშვილი პაატა ქავთარია ოჯახებით იუწყებიან

**ნელი მენთეშაშვილი-გიგინეიშვილის**

გარდაცვალებას.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ნინო სურგულაძე თბილისში კონცერტს გამართავს

მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცოსოპრანო ნინო სურგულაძე თბილისში კონცერტს გამართავს.



მსოფლიოს წამყვანი საოპერო სცენების ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ქართველი ვარსკვლავი და საოპერო ოსკარის მფლობელი 27 მარტს კლასიკური მუსიკის მოყვარული მსმენელისთვის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში იმღერებს.

კონცერტში ნინო სურგულაძესთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი სვიმონ ჯანგულაშვილი, გორის ქალთა კამერული გუნდი თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით, სამების ტაძრის საპატრიარქო გუნდი სვიმონ ჯანგულაშვილის ხელმძღვანელობით, გორის სულხან ცინცაძის სახელობის კოლეჯის ბავშვთა გუნდი ნინო წიკლაურის ხელმძღვანელობით და სტუდია ანა-ბანას გუნდი ზვიად ბოლქვაძის ხელმძღვანელობით.

საგაზაფხულო კონცერტზე ვაგნერისა და მალერის ნაწარმოებები აჟღერდება.

## ჯანსუღ ჩარკვიანი – ფორთოხლის ბაღში დამმარხეთ



პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი ცდილობს, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე თავისი ლექსებით ისაუბროს და ყველაზე აქტუალურ საკითხებსაც შეძლებისდაგვარად იუმორით შეხედოს.

ბოლო დღეებში ქართულ სახელოვნებო წრეებში განხილვის თემა გახდა ახალი პანთეონი, რომელიც მახათას მთაზე მშენებარე ეკლესიის ტერიტორიაზე უნდა გაიხსნას.

ხელოვანთა ნაწილი კატეგორიული წინააღმდეგია მახათაზე პანთეონის გახსნისა, რადგან ასეთ მივარდნილ ადგილას მათთან არავინ მივა. ისინი ხელისუფლებისგან დიდუბის პანთეონის გადიდებასა და დიდუბის ეკლესიასა და პანთეონს შორის არსებული კედლის დემონტაჟს ითხოვენ.

მახათას მთაზე ახალი პანთეონის განთავსებას იუმორითა და ახალი ლექსით გამოეხმაურა 85 წლის პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი:

„მივმართავ ყველა ქართველსა, მუსულმანსა და „რუსულმანს“,
ვინც წყევლით ანთებს სანთელსა, ვინც კაცს სიკვდილი უსურვა.
დღე დადგა ნაღდი ახვრების, ჭილყვავი მართვე ჰგონიათ,
სადაც მე დავიმარხები, იქ ჩემი პანთეონია.
ახლა კაცი ვარ ფართო ხნის, ვახ მე, ამ ხალხში რა ვნახე,
მე მიყვარს ბაღი ფორთოხლის – ჰოდა, ამ ბაღში დამმარხეთ“.

## პავლე ინგოროყვას არქივში უნიკალური მასალები აღმოაჩინეს

ლიტერატურათმცოდნის, ისტორიკოსისა და პუბლიცისტის პავლე ინგოროყვას არქივში უნიკალური მასალები აღმოაჩინეს.



დოკუმენტები მისმა შვილიშვილმა, კინორეჟისორმა გიო მგელაძემ გაასაჯაროვა:

– საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან 100 წელი გავიდა. არსებობს ვერსია, რომ 1917 წელს კირიონ II-მ მოიწვია წმიდა სინოდის კრება. გაეგზავნა წერილი მსოფლიო პატრიარქს, რომ ავტოკეფალიის აღდგენაში მხარი დაეჭირა...

კირიონ II მოკლეს... აღმოჩნდა, რომ ბაბუაჩემი პავლე ინგოროყვა იყო ამ კრების მდივანი. ბაბუას არქივში ვიპოვეთ ამ წერილის დედანი და, ბაბუას ჩანაწერებთან ერთად, რეზიუმე, ვინ რა თქვა სინოდზე, ვაჩუქეთ პატრიარქს.

## ბუბა კუდავა: „12-საუკუნოვანი უწყვეტი ისტორიის შემდეგ ეკლესიის დამოუკიდებლობას ერთმორწმუნე რუსეთი ეხება“



ისტორიკოსი ბუბა კუდავა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლის იუბილეს ეხმაურება და ამ საკითხში რუსეთის როლზე საუბრობს:

– ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და ავტოკეფალიის მოპოვება-განმტკიცების შემდეგ რა უღელი აღარ დაგვდებია კისერზე: სპარსელებისა, არაბებისა, ბიზანტიელებისა, თურქსელჩუკებისა, ხვარაზმელებისა, მონღოლებისა, ოსმალებისა, ყიზილბაშებისა, სხვათა და სხვათა...

დაუპყრიათ, უხოციათ, უოხრებიათ, მეფენი ჩამოუგდიათ, უცვლიათ, სიკვდილით დაუსჯიათ, გამყიდველნი უჯილდოებიათ, ახალი წესები შემოუღიათ, ეკლესიები უძარცვიათ, უნგრევიათ, ბერ-მონაზვნები უხოციათ...

მაგრამ არცერთი მათგანი არასოდეს მიჰკარებია ეკლესიის ავტოკეფალიას – თვითმწყსობას. არც კი უცდიათ.

12-საუკუნოვანი უწყვეტი ისტორიის შემდეგ ეკლესიის დამოუკიდებლობას პირველად სწორედ ერთმორწმუნე რუსეთი ეხება.

ქართლ-კახეთის დაპყრობიდან 10 წელიწადში აღმოსავლეთ საქართველოს – ქართლის საკათალიკოსოს ავტოკეფალიას აუქმებს;

იმერეთის დაპყრობიდან 4 წელიწადში – დასავლეთ საქართველოსას – აფხაზეთის საკათალიკოსოს.

100 წელზე მეტი დასჭირდა რწმენას, შრომას, ბრძოლას... ბოლოს, 1917 წლის 25 მარტს აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. 100 წელი გავიდა... ზუსტად 100 წელი. მრავალსა წელსა, მრავალჟამიერ!

## ნაირა გელაშვილის რომანი ლაიფციგის წიგნის ბაზრობის მთავარ ლიტერატურულ მოვლენად აღიარეს

თანამედროვე ქართველი მწერლის ნაირა გელაშვილის რომანი „მე ის ვარ“ გერმანიის ქალაქ ლაიფციგში გამართული წიგნის საერთაშორისო ბაზრობის მთავარ ლიტერატურულ მოვლენად აღიარეს.



წიგნის ბაზრობაზე მისი რომანის გერმანული თარგმანის წარდგინება გაიმართა. მწერალი ლაიფციგში მიიწვიეს, როგორც გამოფენის მთავარი მოვლენის – „ლურჯი სავარძლის“ სტუმარი. თანამედროვე ქართველი მწერალი მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული პლატფორმის „ლურჯი სავარძლის“ სტუმარი პირველად გახდა.

შეხვედრამ 40 წუთს გასტანა. გერმანელი მკითხველი დიდი ინტერესით უსმენდა ნაირა გელაშვილს, რომლის რომანიც წლევანდელი ბაზრობის მთავარ ლიტერატურულ მოვლენად აღიარეს.

ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე საქართველო ეროვნული სტენდით მეექვსე წელია, მონაწილეობს. გერმანიაში ქართული ლიტერატურული პროგრამა გერმანელი გამომცემლების მხარდაჭერით ხორციელდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

**ორშაბათი 27 მარტი**

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "წიგნების თარო" **15.00, 03.15** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 04.15** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **00.00** მხ/ფ "**ერთხელ წრეზე**" **02.00** მხ/ფ "**მშვიდობით გარი**"

**08.00** დ/ფ "ვენჯოუს ფირმის ფეხსაცმელი" **09.00** დ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" **10.00** დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" **11.00** დ/ფ "ტვინი სარკეში" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ყალმუხრეთის ბუდისტი ბერები" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "კრისტიან ბოლტანსკის შესაძლო ცხოვრებები" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**სწრაფები და შმაგები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** იუმორინა **23.30** სერ. "**სახიფათო კავშირი**" 4 სერ. **01.30** მხ/ფ "**საქმე 39**"

**06.00, 16.55** სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** კომედი. კონცერტი - **2013**

**08.00** ან/სერ. "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მეზობლები**" **13.00** სერ. "**სიმართლის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** სერ. "**გომორა**" **22.30** მხ/ფ "**დასაწყის**" **01.15** მხ/ფ "**მაშველი**" **03.50** მხ/ფ "**ჰამლეტი**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-მარმარილოს ქანდაკებად ქცეული გოგონა **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** დ/ფ "ხიხანის ხეობა" **12.45** მოკ. მხ/ფ "**ჩამავალი მზე**" **13.10** საღვთისმსახურო წელიწადი-დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ორქიდეა" **15.10** ქართული ან/ფ **15.30** სპექტაკლი "**მოძღვარი**" I,II **17.30** ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მცენარეები **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ერთი წვეთი **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **19.25** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება-5 კვირა **20.40** ძილი ნებისა "იყო ერთი თაგუნა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი-გლახაკის მიმართ მოწყალე ასმაგად მიიღებს **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** დ/ფ "სამი საქართველო-ტაო-კლარჯეთი, ფერეიდანი, საინგილო" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი **01.00** სათავეებთან "ლადო ასათიანი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება** **10.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**გემი**" **23.10** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ქალბატონი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 მარტისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4513

ევრო — 2.6484

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0609

100 რუსული რუბლი — 4.2821

**ამინდის პროგნოზი 27 მარტისთვის**





## 13 მარტიდან

ეკა ჩიხლაძე

# დასახვრეტი საქმე




წიგნში საბჭოთა საქართველოს მიერ საქმის ორგანიზატორად შერაცხული და დახვრეტილი ბერი თეოდორეს ქალიშვილი, ეკა ჩიხლაძე მოგვითხრობს თვითმფრინავის ბიჭების შესახებ, რომელთა ქმედებისა და დასჯის მიმართ დღემდე რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს.

წიგნში გაეცნობით „შავი ყუთის“ შიფროგრამას, თვითმფრინავის სქემას, ფოტოებს და სხვა.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**




## 17 მარტიდან

მიხეილ კვესელავა

# ნიურნბერგის პროცესი

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 24 მარტიდან

ინეს ალბრეხტ ენგელი, დოქ. მანფრედ ალბრეხტი

# ორსულობა და მშობიარობა




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


# იუმორი



ექიმი ავადმყოფს ეუბნება:

– ეს წამალი სიცოცხლის ბოლომდე უნდა სვათ.

– კი მაგრამ, ექიმო, აქ ხომ წერია, რომ ორი თვის განმავლობაში უნდა მივიღო!

– აბა, მე რა გითხარი?!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ თვალის ექიმთან ვიყავი.

– რა გითხრა?

– მითხრა, ანბანი ისწავლეო.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– სიცრუის დეტექტორი ტელევიზორს რომ შევუერთო, რა მოხდება?

– შვიდ წამში გადაიწვება.

●●●

ზარმაცი ქმარი სანოვაგით დატვირთული ჩანთებით სახლში დაბრუნებულ ცოლს ეუბნება:

– ამას უნდა ბოლო მოეღოს.

– რას?

– შენს ასაკში მყოფ ქალს ასეთი სიმძიმეები არ უნდა დაჰქონდეს.

– და რას მირჩევ?

– ჯობია, სამ გზაზე მოიტანო.

●●●

მეგობარი მეგობარს ურეკავს და ეუბნება:

– გაუმარჯოს! რას აკეთებ?

– ახლა ვერ დაგელაპარაკები, მეუღლის მოვალეობის შესრულებით ვარ დაკავებული!..

– რაა?.. კი მაგრამ, შენ ხომ ცოლი არ გყავს!

– სხვის მოვალეობას ვასრულებ!..

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, რატომ ავრცელებ ხმებს, რომ შენი სიდედრის საფლავში განძია ჩამარხული?

– იქაც რომ ვერ მოისვენოს!

●●●

მამაკაცი მხოლოდ მაშინ იგებს, რამდენი ფულია საჭირო ბედნიერებისთვის, როდესაც ამ ბედნიერებაზე იქორწინებს.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– რატომ დაშორდით ერთმანეთს შენ და შენი ქმარი?

– უბრალოდ, გადავწყვიტეთ, რომ აღარასოდეს გვეჩხუბა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






## 21 მარტიდან

რეი ბრედბერი

# მარსის ქრონიკა

მაგარი ყდა, 528 გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 19 ლარი**


## ინსტაგრამის ვარსკვლავმა საკუთარი დუნდულების იდეალურობის საიდუმლო გაამხილა



ლონდონელმა გოგონამ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ შეიძლება საკუთარი ფიგურის პროპორციების საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევა, რომელიც ამერიკელი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის მონაცემებს გაუთანაბრდება.

რამდენიმე წლის წინ კორტნი ბლეკმა ანორექსია დაამარცხა და ქალური ფორმებით არ გამოირჩეოდა. ახლა უკვე 20 წლის გოგონა პერსონალური ტრენინგებითაა დაკავებული და ფართოდაა ცნობილი სოციალური ქსელების მომხმარებლებს შორის. ეს კი მისი სხეულის პროპორციების დამსახურებაა. მან განმარტა, რომ მრავალჯერადი ჩაჯდომებისა და დუნდულების გასადიდებელი ქირურგიული ოპერაციების სარგებლიანობის შესახებ მითების საწინააღმდეგოდ, რომელსაც მრავალი ქალბატონი ესწრაფვის, უდიდესი სარგებლობა სწორედ ძალისმიერ ვარჯიშებს მოაქვს.

– თქვენ ვერ მიიღებთ კარდაშიანის მსგავს დუნდულებს ყოველდღე 100 ჩაჯდომის შესრულების შემთხვევაში, – განაცხადა ბლეკმა.

ასევე მან აღნიშნა, რომ ყოველი ვარჯიშის დროს აუცილებელია მთელი ძალისხმევის, ესპანდერების გამოყენება ფიტნესისთვის, სწორად და სრულფასოვნად კვება. ბრიტანელი გოგონას გვერდს ინსტაგრამში 152 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

## ცხენის სისწრაფემ მხედარი შეაშინა



დიდ ბრიტანეთში ყოფილმა დოღის ცხენმა თავისი მხედარი შეაშინა. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული და მან იქ 1,7 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

ცხენი, სახელად შემროკი, რომელიც სოფლის გზაზე გასასეირნებლად ნიკ ბულმა გაიყვანა, მოულოდნელად დიდი სისწრაფით გაჭენდა.

მხედარი გაჭირვებით იმაგრებდა თავს უნაგირზე და შეშინებული ცდილობდა ცხენის შეჩერებას. ცხოველი მის მცდელობებზე არ რეაგირებდა და ისე მიქროდა, როგორც იპოდრომის ბილიკზე ასპარეზობის დროს.

საბოლოოდ ეს „გასეირნება“ მამაკაცის ცხენიდან გადმოვარდნით დასრულდა. ამ ინციდენტის შედეგად არც მხედარი და არც ცხენი სერიოზულად არ დაშავებულან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ფაჩულიასა და გოლდენ სტეიტის გამარჯვება საკრამენტოსთან

გოლდენ სტეიტ უორიორსი წარმატებულ სვლას განაგრძობს. ზაზა ფაჩულიას გუნდმა ამჯერად საკრამენტოს უმასპინძლა და 114:100 დაამარცხა.



მას შემდეგ, რაც ლიდერი დემარკუს კაზინსი ნიუ ორლეანში გაუშვეს, საკრამენტოელებს 15 მატჩიდან 12 მარცხი აქვთ განცდილი. ამიტომაც, აუტსაიდერი საკრამენტო ოკლენდში უშანსოდ იყო. მართალია, ანგარიშში დიდი სხვაობა არ გახლდათ, თუმცა მთელი თამაში გოლდენსტეიტელები ლიდერობდნენ და სტუმრებს წარმატების შანსს არ აძლევდნენ.

ქართველი ცენტრი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე მთლიანობაში 19 წუთი გაატარა. ფაჩულიამ 4-დან 1 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. 4 ქულასთან ერთად ზაზამ 8 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება დააგროვა.

ეს გახლდათ გოლდენ სტეიტის ზედიზედ მე-6 გამარჯვება. ოკლენდელებმა მცირე ჩავარდნის დროს წამოწეული სან ანტონიო კვლავ ჩამოიტოვეს და ლიგას ლიდერობენ. ფაჩულიას გუნდს 58 გამარჯვების წილ 14 მარცხი აქვს და შემდეგ შეხვედრას შინ მემფისთან ჩაატარებს.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# კროსვორდი

**თარაზულად:** 1. წელიწადის დრო; 6. რისამე ნაირსახეობა; 7. ყაჩაღთა ჯგუფი; 10. ფულად-საკრედიტო დაწესებულება; 11. მტაცებელი ცხოველი; 13. უზენაესი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 14. ყვავილი; 16. გამის მეცხრე საფეხური; 17. ძვირფასი ქვა; 18. ნ.ბარათაშვილის ლექსი.

**შვეულად:** 1. სოფელი ლეჩხუმში; 2. სანელებელი; 3. სახალხო მასკარადი; 4. აფორიზმი; 5. ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ქოხი; 8. რუსული ავტომარკა; 9. ინგლისელი ბუნებისმეტყველი და მოგზაური, რომელმაც შექმნა მოძღვრება ბუნებრივი გადარჩევის გზით ორგანიზმთა წარმოშობისა და განვითარების შესახებ; 10. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 12. ექსპონატების გამოსაფენი დაფა; 13. დიდი ვენახი; 15. გრძელი შალაშინი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი